დღესასწაული



აღდგომა: 2002 წლის 5 მაისი, სიონის ტაძარში.
საქინფორმის ფოტოქრონიკა.

# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

სტიქიის დასაძლევად

## ხალხის აზრი მიწისძვრის შესახებ — მდგომარეობის უტყუარი ბარომეტრი

სახელმწიფო კანცელარიის სოციოლოგიურმა სამსახურმა რამდენჯერმე ჩაატარა სპეციალური გამოკითხვა, რომელიც ეხება ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულებას მიწისძვრისადმი.

გამოკითხულია სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის 600-მდე წარმომადგენელი დედაქალაქის ყველა დაზარალებულ რაიონში.

ამ გამოკითხვის შედეგებზე დღეს გვესაუბრება სახელმწიფო კანცელარიის სოციოლოგიური სამსახურის უფროსი დოდო ყარაულაშვილი.

— ქალბატონო დოდო, მაინც, რას ფიქრობს ხალხი?

— განმეორებითმა გამოკითხვამ მიწისძვრის შესახებ, ძირითადად, დაადასტურა პირველი გამოკითხვის შედეგები, რომლის თანახმადაც რესპონდენტთა უმრავლესობა მიწისძვრის დროს იმყოფებოდა საცხოვრებელ სახლებში, თითქმის ყოველი მეათე კი — ტრანსპორტში ან ქუჩაში.

ორივე გამოკითხვის შედეგად, რესპონდენტთა 70 პროცენტმა აღნიშნა, რომ მიწისძვრამ მათი საცხოვრებელი სახლები (ბინები) სერიოზულად დააზიანა, კერძოდ, მეორე გამოკითხვით 4-დან 9 პროცენტამდე გაიზარდა იმ თბილისელთა რაოდენობა, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მიწისძვრას მოჰყვა მნიშვნელოვანი ნგრევა, თითქმის ყოველმა მესამემ აღნიშნა, რომ „დაიბზარა კედლები" ან „ჩამოცვივდა ბათქაში და სხვა მოსაპირკეთებელი მასალები".



იხ. მე-2 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ხუთ დღეში გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 29916 მკითხველი. მათ შორის 56% აშშ-დან, 24% გერმანიიდან.

„ღილა ამ გაზეთის ღდამლით აიწყეთ..."


# საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №109 (4168) ქვირა, 5 მაისი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.


GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

სულიერება

## სააღდგომო ეპისტოლე

### უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II

ღვთივკურთხეული საქართველოს ღვთისმოყვარე შვილებს:

„აღსრულდა. მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული. და მიეცემ მწყურვალს სიცოცხლის წყლის წყაროსგან უსასყიდლოდ. მძლეველი დაიმკვიდრებს ყოველს, და ვიქნები მისი ღმერთი, და ის იქნება ჩემი ძე" (გამოცხ. 21, 6-7)

ქრისტეს მიერ საყვარელნო ყოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო ღვთიედაცულნო შვილნო საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის მკვიდრნო და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

ქრისტე აღსდგა!

ეს სიტყვები ჰიმნია უკვდავებისა, ჰიმნი ქრისტეს დიადი გამარჯვებისა, რომელიც ყველას საოცარი იმედითა და სიხარულით აღავსებს და ჩვენც მოციქულ პავლესთან ერთად, ვხმობთ: „სიკვდილო! სადა არს საწერტელი შენი? ჯოჯოხეთო! სადა არს ძლევა შენი?" (I კორინ. 15, 55).

სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას საფუძველი იესო ქრისტეს ჯვარცმით დაედო. თუ ვესურს, ამ გამარჯვების თანაზიარნი გავხდეთ, სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს უნდა ჩავწვდეთ და გავაცნობიეროთ, რომ აღდგომა ქრისტესი გულისხმობს თითოეული ჩვენგანის, ზოგადად ყველა იმ ადამიანის აღდგომასაც, ვინც იცავს უფლის მცნებებს და მისი მადლითაა აღვსილი, ანუ ვინც ცხოვრობს ქრისტეში.

აი, როგორ წერს წმიდა იოანე ღვთისმეტყველი მაცხოვრის მიერ მონიჭებული მარადიული სიცოცხლის შესახებ: „მის თანა ცხორებაჲ იყო და ცხორებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა" (1, 4), „და სიცოცხლე ცხად იქმნა, და ჩვენ ვიხილეთ და ვმოწმობთ, და გაუწყებთ თქვენ საუკუნო სიცოცხლეს, რომელიც იყო მამისა თანა და გამოგვეცხადა ჩვენ" (I. იო. 1, 2).

ქრისტე აღსდგა!

ეს საოცარი ზეიმი ემპირული აზროვნებისათვის მიუწვდომელია, ამიტომაც იყო, რომ, როცა აღმდგარი უფალი გამოეცხადა მარიამ მაგდალინელს, თავდაპირველად მანაც ვერ იცნო იგი (იო. 21, 4), ვერც ტიბერის ზღვასთან მდგარი იესო შეიცნეს მისმა მოწაფეებმა.

აღდგომის საიდუმლოს აღქმა მხოლოდ ეკლესიაში და ეკლესიის საშუალებით ხდება. კარგად ამბობს ერთ-ერთი ცნობილი სასულიერო პირი: „ეკლესია არის ჩვენი ზიარების საშუალება აღდგომილ ღმერთის ცხოვრებასთან".

დიახ, მხოლოდ ეკლესიაში შეიძლება მოვიპოვოთ უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი მადლი სულისა წმიდისა; იგი მხოლოდ ეკლესიური მოღვაწეობით და ლოცვით მოგვეცემა, რადგან სულიერი ჭვრეტის უნარი სულიერი ცხოვრებით მიიღწევა და მაშინ აღსრულდება უფლის სიტყვები: „ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით, და ჰპოვოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ" (მათე7,7).

ხშირად ასეც ხდება, რომ ჩვენ ვთხოვთ ღმერთს სულიწმიდის მადლს, მაგრამ კარგად არც კი ვიცით, რას ნიშნავს ეს. მოციქული პავლე გალატელთა მიმართ ეპისტოლეში წერს: „ხოლო ნაყოფი სულისაჲ არს: „სიყუარული, სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება" (გალ. 5, 22-23) და ამატებს: „თუ სულით ვცოცხლობთ, სულსავე უნდა მივსდევდეთ, ნუ ვიქნებით მედიდურნი, ერთმანეთის გამომწვევნი, ერთმანეთის მოშურნენი" (5, 25, 26).

მოციქული პავლე ამ ცხრა სათნოების ჩამოთვლით წარმოაჩენს, თუ როგორი უნდა იყოს სულიწმიდის მადლით მოსილი მორწმუნის შინაგანი სამყარო, როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება ღვთისა და მოყვასისადმი. აი, ამ თვისებების მატარებელი პიროვნება არის ახალი ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ქრისტეში და ქრისტეც მყოფობს მასში.

იხ. მე-3 გვ.

დღის განწყობილება



გუშინ. ინტერესი წვიმაში. ჯავარ ლომაძის ფოტო.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 1 მაისი ქ. თბილისი

### ოზურგეთის რაიონის ჟურნალისტთა საქართველოს ორდენითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ჟურნალისტიკის განვითარებაში, რეგიონში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პროფესიულ დონეზე წარმოჩენაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი ჟურნალისტური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ოზურგეთის რაიონის ჟურნალისტები დაჯილდოვდნენ:

**ღირსების ორდენით:**

**ელგუჯა შევარდნაძე** – გაზეთ „ალიონის" რედაქციის განყოფილების გამგე.

**ღირსების მედლით:**

**ნუგზარ ასათიანი** – გაზეთ „ალიონის" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი; **გულსუნდა მახარაძე** – გაზეთ „ალიონის" რედაქციის განყოფილების გამგე; **ვალიდა ფიფაიშვილი** – გაზეთ „ალიონის" კორესპონდენტი; **ეთერ ქადეიშვილი** – გაზეთ „საჩინოს" რედაქტორი; **ვაჟა ჭანუყვაძე** – სააქციო საზოგადოება „ოზურგეთის სტამბის" დირექტორი, ღვაწლმოსილი ჟურნალისტი.

ედუარდ შევარდნაძე.

შევეწიოთ!

## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

| | |
|---|---|
| ხაშურის დაცვის პოლიცია | – 100 ლარი; |
| ზურა შენგელია | – 5 ლარი; |
| თინათინ შარაქაშვილი | – 10 ლარი; |
| დიმიტრი კოტეტიშვილი | – 100 ლარი; |
| აკა, სოფო და მარიამ მიქელაშვილები | – 15 ლარი; |
| ტ. ღვაბერიძე, ო. თუხარელი, ი. ტაბიძე, ი. მელქაძე, ა. მაღლაკელიძე, ე. ბიბილეიშვილი | – 60 ლარი; |
| კახაბერ მაჭარაშვილი, ანანო წვერიძე, თამთა წვერაია, გიორგი ქოჩიაშვილი, ნათია თოდუა, მარიამ მჭედლიშვილი | – 60 ლარი. |

„ღლავები"

დიდ კორუფციაში

## მოდი, ვნახოთ გრანტი...

სწორი უთქვამთ ჩვენს წინაპრებს: სწავლა სიბერემდეო. ამ ბოლო წლებში იმდენი მანამდე უცნობი სიტყვა გაგვიშინაურდა, რომ ზოგჯერ ეჭვიც შეპარება კაცს, ადრე მუნჯები ხომ არ ვიყავითო. და მაინც, ამ სიტყვათა უსაშველოდ გრძელ რიგში ყველაზე შესაშური ბედი(?) ერთი შეხედვით, სრულიად უბრალო ტერმინს – გრანტს აქვს. მართალი მოგახსენოთ, ასეთი ფონეტიკური შედგენილობის სიტყვა ადრეც იყო ჩვენთვის ცნობილი, მაგრამ მას სავსებით სხვანაირი, ასე ვთქვათ, რომანტიკური დატვირთვა ჰქონდა. ახლა კი გრანტი აც ელერსება ყველა ჩვენგანის სმენას, როგორც გაზაფხულზე, გამთენიისას ჩიტების ჟღურტული. ან სხვანაირად როგორ იქნება, როცა იგი მაშინვე ასოცირდება ეგრეთ წოდებულ „მწვანეებთან" (ღვთის გულისათვის, არავის ეგონოთ, თითქოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის აქტივისტები მყავდეს მხედველობაში). ეს ის „მწვანეებია", რომელთა სანაცვლოდ მთელ მსოფლიოში ნებისმიერი საქონელი შეგიძლია მიიღო.

მიხვედით, არა? ჰო, ამერიკულ დოლარებზეა ლაპარაკი!

მოდა, ჩვენს ახლანდელ ყოფაში გრანტი და დოლარების სოლიდური დასტა იდენტურ ცნებებად აღიქმება და ამდენად ორივეს სანუკვარი ოცნების საგანს წარმოადგენს.

სხვათა შორის, ამ გრანტის ჩაჯიბვის ტექნოლოგიაც კარგადაა მესწავლილი ჩვენში, და ზოგჯერთი არა მარტო ხელს ითბობს, არამედ გაცილებით უფრო დიდ საქმეებს აკეარახჭინებს ამ სარბიელზე ძალისხმევის შედეგად. საინტერესოა, რომ როგორც სხვა სიკეთეთა, ისე გრანტების სოლიდური ნაკადი საქართველოში მხოლოდ დასავლეთიდან შემოედინება, მაშინ როცა, ჩვეულებრივ მდინარეებს საპირისპირო მიმართულებით უჭირავთ გეზი.

იხ. მე-2 გვ.

გრანტების დაფიქსირებულ მოცულობასთან - 66,685 ათას დოლართან შედარებით, გაურკვეველ ვითარებაში გამქრალი უზარმაზარი სახსრების - 482 მილიონი დოლარის აორთქლება მართლაც ჯადოქრობის სფეროს უფრო განეკუთვნება.

გვილოცავენ

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

დღეს ზარობს ქრისტეს ეკლესია, რადგან აღდგა უფალი და მოგვფინა ნათელი, დაითრგუნა სიკვდილი და გაიმარჯვა სიცოცხლემ.

ამ სიხარულით აღვსილები, გულითადად გილოცავთ ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს — ქრისტე აღსდგა!

ცხოვრებისეული განსაცდელებით აღვსილებს, ქრისტე მაცხოვრის აღდგომის სიხარული და ამ დღესასწაულის უდიდესი მანუგეშებელი ძალა, იმედს გვაძლევს, რომ ყოველივე გამოსწორდება, კიდევ უფრო მეტად განგვაწყობს ერთობის, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულისადმი, რამეთუ უფლისკენ მიმავალი ერთადერთი გზა არსებობს და ეს გზა სიყვარულია!

ვისურვებთ, რომ აღდგომის მარადიული ნათლით აღივსოს და იკურთხოს თქვენი ყოველი საქმე, რომელიც ღვთისათვის სათნოა, იკურთხოს თქვენი ცხოვრება, თქვენი ოჯახები.

მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა მოგანიჭოთ სულიერი ძალა და ერთობა, რათა კეთილად აღასრულოთ თქვენი ღვაწლი ღვთისა და ადამიანთა წინაშე, ამინ!

ქრისტესმიერი სიყვარულით,

**დავით შარაშენიძე,**
დეკანოზი, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი,

**ზურაბ ცხოვრებაძე,**
საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე.

გიხაროდენ!

## ქართული ოჯახის ადათს ვიცავთ

— ორი ბიჭის შემდეგ, მესამე შვილიშვილი – გოგონა შეგვეძინა. დავარქვით ნესტანი. არჩილი 6 წლისაა, გოგია – 4. სამივენი გაზაფხულზე არიან დაბადებულნი. მათ სახელზე უკვე დავრგეთ ხეები. ბიჭებმა იციან, რომელი ხეა მათი და ნესტანის სახელზე დარგული. ასე სრულდება ჩემ ოჯახში, რაც ადათით მოგვსდგამს, აკი ნათქვამია:

– შვილი შეგეძინა? – ხე დარგე!

– დაქორწინდი? – ხე დარგე!

– გაზაფხულია? – ხე დარგე!

ღმერთმა გამიმრავლოს ჩემი ვაჟიშვილის, ოთარის ოჯახი; მე და ჩემი მეუღლე გოგია, როგორც შევძლებთ, დახმარებას არ დავიშურებთ და შვილიშვილების სახელზე დარგულ ხეებსაც ზრუნვას არ მოვაკლებთ.

ბავშვები გაიზრდებიან, ალბათ, მერე თვითონ გაუფრთხილდებიან მათ სახელზე დარგულ ხეებს და წინაპრების ადათსაც დაიცავენ.



ამ აღდგომა დღეს ქართულ ოჯახს შვილთა სიმრავლეს ვუსურვებ!

ქეთევან წირღვავა,
მარტვილი.

ინფორმაცია

**ფოკუსში - მსოფლიოს ბავშვთა პრობლემები**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

იგი უხელმძღვანელებს საქართველოს ოფიციალურ დელეგაციას, რომელიც მონაწილეობას მიიღებს 8-10 მაისს ნიუ-იორკში დაგეგმილ ბავშვთა საკითხებისადმი მიძღვნილ გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მუშაობაში.

– აღნიშნულ საერთაშორისო ფორუმზე საქართველოს დელეგაცია ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გარდა წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის სხვა აქტუალურ პრობლემებსაც, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა კახა სიხარულიძემ.

**გამოდარებისთანავე**

პარლამენტარი ივერი ჭელიძე აცხადებს, რომ კოდორის ხეობის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხი ძირითადად გადაწყვეტილია.

ამასთან, როგორც მან პრაიმ-ნიუსს განუცხადა, უამინდობის გამო გამოყოფილი პროდუქტებიდან მხოლოდ ფქვილის ნაწილის შეტანა მოხერხდა, თუმცა გამოდარებისთანავე მოსახლეობას სურსათს შეუფერხებლად მიაწვდიან. უახლოეს მომავალში პრეზიდენტის ფონდიდან გამოიყოფა 120 ათასი ლარი ტრანსპორტირების პრობლემების მოგვარებისა და 200 ათასი ლარი შიდა გზებისა და ხიდების გასამართავად.

ამჟამად კოდორის ხეობაში სრული სიმშვიდეა და იქ საგანგაშო არაფერი ხდება.

**სად მიდის გადახდილი თანხა?**

მსოფლიო ბანკი უკმაყოფილოა საქართველოში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებლით.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლის ვლადისლავ ვუჩეტიჩის აზრით, ენერგოსისტემაში შექმნილი ურთულესი მდგომარეობის გამოსწორების უმთავრესი კრიტერიუმია მოხმარებული ელექტროენერგიის თანხის ამოღება.

მისი თქმით, 1995-1997 წლებში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი მზარდი ტემპით ხასიათდებოდა და მაქსიმუმი 60-70 პროცენტს უტოლდებოდა, 1997 წლიდან თანხის ამოღების შემცირება დაიწყო. დღეისათვის საშუალო მაჩვენებელი 10 პროცენტია.

ვუჩეტიჩის თქმით, ბევრ დონორ ორგანიზაციას არ ესმის თუ რატომ ვერ აგვარებს ხელისუფლება ამ პრობლემას.

**იყო კი სასამართლოს გადაწყვეტილება?**

მოქკავშირში ლევან მამალაძის ფრთის წარმომადგენლების, მათ შორის, პარლამენტარ გელა კვარაცხელიას სარჩელის საფუძველზე, საოლქო სასამართლომ 29 აპრილს მოქალაქეთა კავშირის რეგისტრაცია შეაჩერა.

პარლამენტარ ხათუნა ხოფერიას აზრით, თბილისის საოლქო სასამართლოდან პარტიის რეგისტრაციის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილება ცსკო-ში ოფიციალურად ჯერ არ წარუდგენიათ.

მისი თქმით, საეჭვოა თავად სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების არსებობა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

მსოფლიო შტრიხებში



**კუჭის კიბოს არჩენენ**

მეცნიერებმა იპოვეს გენი, რომელიც კუჭის კიბოს არჩენს. მისი კოდური სახელია RunX3. აღმოჩენას ადასტურებენ სამხრეთ კორეის კონგბუკის და იაპონიის კიოტოს უნივერსიტეტების მეცნიერები. ამ ახალი წამლით მათ შესძლეს გადაერჩინათ კუჭის კიბოთი დაავადებული პაციენტების 60 პროცენტი ადრეულ სტადიაზე, და 10 პროცენტი იმ ავადმყოფებისა, რომლებზეც ტრადიციულმა მედიცინამ ხელი ჩაიქნია.

**კიდევ ერთი მაუგლი**

ორი კვირის წინათ ნიგერიაში აღმოაჩინეს ახალი მაუგლი, რომელიც, როგორც ჩანს, აქაურმა ველურმა ტომმა, როგორც არასრულფასოვანი (სერიოზული ფიზიკური და გონებრივი დეფექტებით) სულ რამდენიმე თვისა ჯუნგლებში უპატრონოდ მიატოვა. ბიჭი მაიმუნებმა გამოზარდეს. ადამიანებმა იგი ოთხი წლისა იპოვეს. ბელო, როგორც მას შეარქვეს, მაიმუნივით იქცევა. ინვალიდი ბავშვების სახლიდან იგი რამდენჯერმე შეეცადა ტყეში გაქცევას.



უკანასკნელ საათს

პალესტინის საინფორმაციო წყაროს ცნობით, შესაძლებელია გარდატეხა მოხდეს ქრისტესშობის ეკლესიისთვის ალყის მოხსნის მოლაპარაკებაში. იტყობინებიან, რომ პალესტინელი წარმომადგენლები მზად არიან გადასცენ ისრაელებს ტაძარში მყოფი ადამიანების სია.



დღეს საფრანგეთში პრეზიდენტის არჩევნებია. მოელიან, რომ ფრანგების 87 პროცენტი მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს მოქმედი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი.




ამინდი დღეს

| | | |
|---|---|---|
| დასავლეთ საქართველოში | | |
| დაბლობში: | ღამით +11; | დღისით +20. |
| მთაში: | ღამით +8; | დღისით +16. |
| აღმოსავლეთ საქართველოში | | |
| ბარში: | ღამით +9; | დღისით +17. |
| მთაში: | ღამით +6; | დღისით +14. |

თბილისში

უმეტესად ღრუბლიანი ამინდი, დროგამოშვებით წვიმა ელჭექით.
ღამით: +9; დღისით: +17.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

ლარის კურსი

3 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.2252 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.2151 ლარი |
| ევრო | 1 | 1.9940 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0709 ლარი. |

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— რა შეღავათები ვრცელდება მეორე მსოფლიო ომში დაღუპულის შვილზე, ამჟამად პენსიონერზე?

ოთარ მეგრელიშვილი.

— მეორე მსოფლიო ომში დაღუპულის შვილი კომუნალური ან სხვა სახის გადასახადისაგან მოქმედი კანონმდებლობით არ თავისუფლდება.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

ინტერპანორამა

პრეზიდენტმა ბუშმა გუშინ განაცხადა, რომ იმედი აქვს მიაღწიოს შეთანხმებას რუსეთთან სტრატეგიული შეტევითი იარაღის შემცირების საკითხში მაისის ბოლოს მოსკოვში მისი ვიზიტის დროს.



ირანში რელიგიურად განწყობილი სტუდენტების მოთხოვნით დახურეს რეფორმატორული გაზეთი „ირანი", რომლის მფლობელი იყო სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო ირნა.



გარდაიცვალა გამოჩენილი რუსი დირიჟორი, პიანისტი და კომპოზიტორი ევგენი სვეტლანოვი. 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს და მთელს მსოფლიოში აღიარებული მუსიკოსი იყო.



გუშინ ჩეჩნეთში, სოფელ ცენტოროიში 37-მა მოთარეშემ იარაღი ჩააბარა. ხელისუფლებმა ყველას ხელშეუხებლობის გარანტია მისცეს, თუ მათ სისხლის სამართლის დანაშაულში მონაწილეობა არ მიუღიათ. ყველანი მასხადოვის დაცვის წევრები იყვნენ.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 109. კვირა, 5 მაისი, 2002 წელი

სტიქიის დასაძლევად

# ხალხის აზრი მიწისძვრის შესახებ — მდგომარეობის უტყუარი ბარომეტრი

(პირველი გვერდიდან)

მხოლოდ 30 პროცენტმა განაცხადა, რომ მიწისძვრას მისი საცხოვრებელი ადგილი მნიშვნელოვნად არ დაუზიანებია.

რესპონდენტთა 65 პროცენტმა (პირველი გამოკითხვით – 63 პროცენტი) აღნიშნა, რომ მიწისძვრის შემდეგ მის ოჯახში, მეზობლებში იგრძნობოდა უკიდურესი დაბნეულობა და პანიკა, 35-37 პროცენტის შეფასებით კი დაფიქსირდა ჩვეულებრივი – ამ მოვლენის შესაფერისი შემაშფოთებელი სიტუაცია.

**– მოსახლეობა ვისგან იღებდა ოპერატიულ ინფორმაციას?**

– ოპერატიულ ინფორმაციას მიწისძვრის შესახებ თბილისელები, ძირითადად, იღებდნენ „რუსთავი-2“-ისა და ტელევიზიის „პირველი არხის“ მეშვეობით. ოთხმა პროცენტმა დაასახელა რადიოგადაცემები.

რესპონდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ 25 აპრილს თბილისში მომხდარი მიწისძვრის სიმძლავრე აღემატებოდა 6-ბალიან მაჩვენებელს. ამასთან, თბილისში გავრცელდა ხმა, რომ დამანგრეველი ძალის მიწისძვრის განმეორება მოსალოდნელია უახლოეს დღეებში – ასახელებენ კონკრეტულ თარიღებსაც.

**– როგორ აფასებენ მიწისძვრის სალიკვიდაციო შტაბების მუშაობას?**

– რესპონდენტთა თითქმის 72 პროცენტი კარგად ან დამაკმაყოფილებლად აფასებს მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო შტაბების მუშაობას, 16-18 პროცენტი მათი მუშაობით უკმაყოფილოა, ამასთან, თითქმის მეხუთედმა განაცხადა, რომ ამ შტაბების საქმიანობის შესახებ სურს უფრო მეტი ინფორმაციის მიღება – განსაკუთრებით კი გამგეობებთან არსებული შტაბების შესახებ.

გამოკითხულთა 65-69 პროცენტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ამუშავდა სპეციალური სატელეფონო ხაზები დაზიანების შესატყობინებლად, სპეციალური კომისიები აკითხავენ დაზარალებულ ტერიტორიებს, ცდილობენ დაზარალებული მოსახლეობის დახმარებას. ის რესპონდენტები კი, რომლებიც ამ შტაბების მუშაობით უკმაყოფილონი არიან, აღნიშნავენ უყურადღებობას შესაბამისი სამსახურებიდან დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებზე.

პირველი გამოკითხვით რესპონდენტთა 4 პროცენტმა მიმართა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებს მიწისძვრისაგან გამოწვეული ტრავმებით და სისხლძარღვთა დაავადებებით – მეორე გამოკითხვამ აჩვენა, რომ შემდგომ პერიოდში დედაქალაქის სამედიცინო დაწესებულებებისთვის ამ მიზეზით მოსახლეობას აღარ მიუმართია.

**– ქვეყნის ხელისუფალთა მოღვაწეობაზე რას ამბობენ?**

– რესპონდენტთა უმრავლესობა (66 პროცენტი) დადებითად აფასებს საქართველოს მთავრობის მოღვაწეობას მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციოდ, 20 პროცენტი უკმაყოფილოა, 14 პროცენტს კი უჭირს მათი საქმიანობის შეფასება.

ყველა გამოკითხული რესპონდენტი ეთანხმება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდის დაარსების შესახებ. ამასთან, რესპონდენტთა 60 პროცენტის აზრით, ეს ფონდი ძირითადად უნდა შეივსოს კერძო სექტორიდან, 54 პროცენტი შევსებას ელის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 51 პროცენტი – საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, 28 პროცენტს მიაჩნია, რომ თითოეულმა მოქალაქემ უნდა გაიღოს მინიმალური თანხა მაინც, 23 პროცენტმა კი აღნიშნა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რესურსების ერთობლიობა.

რესპონდენტებმა სურვილი გამოთქვეს თავიანთი ფინანსური წვლილი შეიტანონ ამ ფონდში – საშუალოდ, 10-15 ლარი.

**– ხალხის აზრით, რამდენ ხანში მოვიშუშებთ მიწისძვრის ჭრილობებს?**

– თბილისელთა 40 პროცენტის აზრით, მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციას დასჭირდება ორ წელზე მეტი. 30 პროცენტის აზრით – ეს შესაძლებელია ერთი-ორი წლის განმავლობაში, ყოველი მეათე კი დარწმუნებულია, რომ ეს უახლოეს ერთ წელიწადში მოხდება.

**– როგორია მოსახლეობის ფსიქოლოგიური მდგომარეობა?**

– რაც შეეხება მიწისძვრის შემდგომ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებას დედაქალაქში, რესპონდენტთა 79 პროცენტმა განაცხადა, რომ პანიკა უკვე აღარ არის, მაგრამ ხალხს მაინც მიწისძვრის განმეორების ეშინია, 14 პროცენტის აზრით, „ვითარება სტაბილურია“, 7 პროცენტს კი უჭირს მდგომარეობის შეფასება.

ესაუბრა
**სპარტაკ ძოზულია.**

# ეკლესიები აღდგება

ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს ოპერატიული შტაბის წევრებმა 2370 საცხოვრებელი სახლი შეამოწმეს. 858 სახლი მსუბუქად დაზიანებულია, 1152 ობიექტი აღდგენით სამუშაოებს საჭიროებს, ხოლო 360 ფაქტობრივად, დასანგრევია.

ექსპერტთა ჯგუფებმა 98 სკოლა და 87 ბაგა-ბაღი შეამოწმეს. განათლების სამინისტრომ ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს შესამოწმებელი სასწავლო ობიექტების ახალი სია გადასცა. მსუბუქად დაზიანებულ სკოლებში სწავლა გაგრძელდება, ხოლო სარემონტო სამუშაოები თანდათანობით ჩატარდება.

სამინისტროს მაღალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა ძეგლთა დაცვის სამსახურთან ერთად 8 ეკლესია შეამოწმეს. ეს სასულიერო ძეგლები სარემონტო სამუშაოებს საჭიროებენ, ექსპერტებმა ეკლესიების დაზიანების ხარისხი მეორე კატეგორიად შეაფასეს, ხოლო მეტეხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია შედარებით მსუბუქად დაზიანდა. ეკლესიები აღდგება.

**საქინფორმი.**

# მიწისძვრის შედეგების აღმოსაფხვრელად

– მსოფლიო გაერთიანება მზადაა მიწისძვრის შედეგების აღმოსაფხვრელად სათანადო დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს, – განაცხადა 3 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა კახა სიხარულიძემ.

კერძოდ კი, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიამ უკვე გამართა კონსულტაციები გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლებთან. აღნიშნული ორგანიზაცია მზადაა ჩვენს ქვეყანას მატერიალურ – ტექნიკური, ჰუმანიტარული და ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს.

**საქინფორმი.**

# გამოგვეხმაურეთ, მე-15 სკოლის კურსდამთავრებულებო!

ჩვენო საყვარელო კურსდამთავრებულებო! 25 აპრილის მიწისძვრამ სასტიკად დააზიანა ჩვენი საყვარელი მე-15 სკოლა, სკოლა, რომელიც 45 წელიწადია ამაყად დგას სანზონაში, გუდამაყრის ქუჩაზე.

სტიქიამ მწყობრიდან გამოიყვანა სასკოლო შენობის მესამე და მეოთხე სართული.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოსალოდნელია მისი აღდგენითი სამუშაოების საგრძნობლად გაჭიანურება, ამიტომ მოგმართავთ თხოვნით, – ვისაც ძვირფასია მე-15 საშუალო სკოლის წარსული, აწმყო და მომავალი, ვისაც საკუთარ ტკივილად მიგაჩნიათ სკოლის გასაჭირი, დაგვუდგეთ გვერდით პედაგოგიურ კოლექტივს, ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ შენობის აღდგენით სამუშაოებში, სულ ერთია, ეს მხარში დგომა მატერიალური იქნება თუ ფიზიკური.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ მიწისძვრამ ლაგიზიანათ საცხოვრებელი ბინები, გიჭირთ მატერიალურადაც, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ თითოეული კურსდამთავრებული, დღევანდელი მოსწავლეების მშობლები და გულშემატკივრები, სკოლის გასაჭირს არ ჩათვლით მეორეხარისხოვნად და საკუთარ პოზიციას გამოხატავთ.

წინასწარ მადლობას გიხდით ერთგულებისა და დახმარებისთვის.

**ვენერა კაჭახიძე, რუსუდან ელიზბარაშვილი, მაყვალა როინიშვილი, ნანული კალაძე, მე-15 სკოლის პედაგოგები.**

*P.S. მეთხუთმეტე სკოლის კურსდამთავრებულებო! თქვენი მხარდაჭერა შეგიძლიათ გამოხატოთ მისამართზე: ქ. თბილისი, გუდამაყრის ქ. № 3, ტელეფონი 60-61-01, ვეტერან პედაგოგთა საინიციატივო ჯგუფი. ანგარიშის ნომერია: საქართველოს ბანკის ნაძალადევის ფილიალი № 700809.*

# სწავლას გააგრძელებენ

თბილისში მიწისძვრის შედეგად ასამდე ობიექტი დაზიანდა, მათ შორის, საგანმანათლებლო დაწესებულებები, საშუალო სკოლები. 126-ე საშუალო სკოლასაც შეეხო ეს პრობლემა; დაზიანდა სკოლის ერთ-ერთი კორპუსი, გაჩნდა ბზარები. სკოლის დირექტორი ნაზი მეტრეველი განიცდის, რომ სკოლაში რამდენიმე დღეა, შეწყდა სწავლა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ბავშვების სხვადასხვა კაბინეტებში გადანაწილებას აპირებს და მალე მის სკოლას ჩვეული სწავლის რიტმი დაუბრუნდება.

ეს სკოლა გამორჩეულია. მისი აღსაზრდელია საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი ნიკა მელქაძე, რომლის ნიჭის შესახებ მთელი ქალაქი ალაპარაკდა. პატარა ნიკას ლექსების კრებულს „ფრენა მომინდა“ უკვე ყველა იცნობს. სულ ახლახან ახალგაზრდა შემოქმედთა ცენტრის მიერ გამართულ გეოგრაფიის ოლიმპიადაში მიღწეული წარმატებისთვის სიგელებით დაჯილდოვდნენ ქეთევან იოსელიანი და სოფიო ნიაური.

სულ მალე მოსწავლეები მოყვარულთა სპექტაკლს უჩვენებენ თბილისის ზღვის ტერიტორიაზე დროებით უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს.

**ელგა უგლავა,**
საქინფორმის კორ.



ფიროსმანის ქუჩა. ამ მწვავე ავარიული სახლების ნაცვლად აქ თანამედროვე მიკრო უბანი აიგება.
ჯემალ კასრაძის ფოტო.

„ღლავები“ დიდ კორუფციაში

(პირველი გვერდიდან)

მოდით ახლა, ბარემ ისიც ვთქვათ, თუ რა ბუნებით ხასიათდება გრანტი როგორც ასეთი. იგი ორბუნებოვანია და მოიცავს უცხოეთიდან შემოსულ დახმარებებს გარკვეული საქონლის სახით სახელმწიფო ხაზით და აგრეთვე წმინდა ფულად შემწეობებს სხვადასხვა ორგანიზაციების მისამართით. ამავე დროს, გრანტით მიღებული სახსრების გამოყენება არ შეიძლება პოლიტიკური ან სამეწარმეო მიზნებისათვის.

პო, გრანტის სახით შემოზიდული საქონელი გადასახადით ნაკლებად ან სულ არ იბეგრება.

სხვა ყველაფერთან ერთად, ეს მომენტიც მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ სფეროში ჩვენი მოქალაქეების განსაკუთრებულ აქტიურობას.

საითაც უნდა გაიხედო და წარმატებულად მოღვაწე თანამემამულეები დალანდო, მაშინვე აგიხსნიან, მაგანმა გრანტს გამოჰკრა ხელი და კიდეც დადგა ფეხზეო.

ახლა, როცა ცოტად თუ ბევრად გავეცნობიერდით ამ სფეროში, უკვე შეიძლება კონკრეტულად ვისაუბროთ მოცემულ თემაზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 1992 წლიდან 2002 წლის 1 იანვრამდე ჩვენს ქვეყანაში ათვისებულია საპროექტო და სხვა სახის 39 გრანტი, რომელთა მოცულობა ფულად გამოსახულებაში შეადგენს 66.685 ათას ამერიკულ დოლარს.

მართლაც სოლიდური თანხაა და იგი, უნდა ვიფიქროთ, დიდად წაადგა სიდუხჭირესთან ბრძოლას.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 23 ივნისის ბრძანებულებით, ფინანსთა სამინისტროს დაევალა საქართველოში გრანტის სახით შემოტანილი საქონლის საბაჟო გაფორმების ნებართვის გაცემა საგარეო საქმეთა სამინისტროს და საგარეოეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს შუამდგომლობით.

ერთი სიტყვით, გრანტების მოძრაობა საქართველოში თავიდანვე იყო მოწესრიგებული სამართლებრივი თვალსაზრისით. შედეგებიც თითქოს შეშფოთების საფუძველს არ იძლევა. მაგალითად, წლევანდელი წლის იანვარ-თებერვალში გრანტის სახით ქვეყანაში შემოტანილი ტვირთების საშუალო-თვიურმა ხვედრითმა 5,7 მილიონი დოლარი შეადგინა და 3,8 და 4 მილიონი დოლარით გადააჭარბა 2000 და 2001 წლებში დაფიქსირებულ საშუალო-თვიურ მაჩვენებლებს. ასევე ზრდის ტენდენციით ხასიათდება მთლიან იმპორტთან მიმართ გრანტების სახით იმპორტირებული საქონლის ხვედრითი წილის მაჩვენებელი. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მან 10,4 პროცენტს მიაღწია, მაშინ როცა 2001 წლის იანვარ-თებერვალში იგი მთლიანი იმპორტის მხოლოდ 2,4 პროცენტს არ აღემატებოდა.

გარდა ამ კონკრეტული ციფრებისა, ფინანსთა სამინისტროში აქეთ მონაცემები შემოსული ჰუმანიტარული ტვირთების სტრუქტურის თაობაზე. მაგალითად, იანვარ-თებერვალში შემოიტანეს 425,9 ათასი დოლარის ღირებულების 2122 ტონა ფქვილი, რაც ფქვილის მთლიანი იმპორტის საერთო ღირებულების 27,7 პროცენტს შეადგენს. ასევე შემოტანილია 5248.1 ათასი დოლარის მედიკამენტები, 754,3 ათასი დოლარის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, 202,4 ათასი დოლარის ავეჯი და სხვა.

შეგახსენებთ, რომ ყველა ამ საქონელზე გავრცელდა საგადასახადო შეღავათები.

## მოდი, ვნახოთ გრანტი...

როგორც ხედავთ, ამ საქმეში თითქოს არავითარი ხარვეზი არ არის. ყოველ შემთხვევაში აქ მოტანილი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ყველაფერი რიგზე უნდა იყოს.

თუმცა ამ შემთხვევაში არც აჩქარება გვარგებს.

და მართლაც, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმებები სულ სხვა ხასიათის დასკვნის საშუალებას იძლევა. კერძოდ კი იმის, რომ წლების მანძილზე დამკვიდრებულმა უკონტროლობამ, ქაოსმა და განუკითხაობამ საქართველოში შემოსული კრედიტების, გრანტებისა და სხვა უცხოური დახმარებების მიღება-განაწილებისა და განკარგვის სფეროში სავალალო მდგომარეობა შექმნა. შემოწმებამ ცხადყო, რომ ფინანსთა სამინისტრო სათანადოდ არ ასრულებდა ზემოხსენებული ბრძანებულების მესამე პუნქტს, რომლის თანახმად, მას უნდა უზრუნველეყო გრანტების აღრიცხვა, მიღებული საქონლისა და ფულადი სახსრების გამოყენების კანონიერებისა და ეფექტიანობის კონტროლი.

სამწუხაროდ, ეს კონტროლი მხოლოდ ნაწილობრივ შეეხო სახელმწიფო სექტორისათვის განკუთვნილ დახმარებებს. რეალურად კი ბრძანებულების მოქმედების პერიოდში არათუ ფულადი სახსრების, არამედ საქონლის სახით შემოსული გრანტების გამოყენების კანონიერებისა და ეფექტიანობის კონტროლიც კი არ განხორციელებულა.

სხვათა შორის ამ სფეროში დარღვევები დაფიქსირდა ჯერ კიდევ 1999 წელს ჩატარებული შემოწმების შედეგად და ამის შესახებ კიდეც აცნობეს სამინისტროს, მაგრამ ვითარება მაინც არ შეცვლილა. ამას ადასტურებს ფინანსთა სამინისტროში მოწყობილი ბოლო შემოწმების შედეგები.

1999-2001 წლის პირველ ნახევარში ფინანსთა სამინისტრომ გასცა ნებართვები გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ დაახლოებით 45 მილიონი დოლარის ღირებულების საქონელზე. საქონლის სახით წარმოდგენილი გრანტების თითქმის ნახევარი განკუთვნილი იყო სახელმწიფო სექტორისათვის, უმეტესობა კი შეადგენდა თანხის სახით გამოყოფილი გრანტების ნაწილს.

კიდევ უფრო მეტი: პირველადი დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ გრანტის სახით შემოსული 482 (!) მილიონი დოლარის მიზნობრივი ხარჯვის მდგომარეობა ფინანსთა სამინისტროსათვის საერთოდ უცნობია.

გრანტების დაფიქსირებულ მოცულობასთან – 66,685 ათას დოლართან შედარებით, გაურკვეველ ვითარებაში გამქრალი უზარმაზარი სახსრების – 482 მილიონი დოლარის აორთქლება მართლაც ჯადოქრობის სფეროს უფრო განეკუთვნება.

არადა, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით ფინანსთა სამინისტროს მოქმედ დებულებაში შეტანილია ცვლილებები, შეიქმნა საერთაშორისო საინვესტიციო პროექტებისა და პროგრამების დეპარტამენტი, რომლის ფუნქციებშიც შევიდა ქვეყანაში შემოსული გრანტების, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების, აგრეთვე სახელმწიფო სექტორში უცხოური ინვესტიციების კოორდინაცია, მიღებული სახსრებისა და ქონების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, სხვათა შორის, ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური სარევიზიო ჯგუფიც. მოგვიანებით პრეზიდენტის 2001 წლის 13 აგვისტოს ბრძანებულებით ფინანსთა სამინისტროს განესაზღვრა გრანტების მონიტორინგის ფუნქცია.

მაგრამ, როგორც უკვე ცხადი გახდა, ამ მხრივ ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა. ამასობაში ქვეყანაში შემოედინება საკმაოდ სოლიდური ფულის ნაკადი, რომლის დანიშნულების შესახებ, ფაქტობრივად, არაფერია ცნობილი. ვინ იძლევა ამ ფულს, ვინ და რა მიზნების მისაღწევად ხარჯავს, არც ამის შესახებ არსებობს რაიმე ხელმოსაკიდი ინფორმაცია.

არადა, დღენიადაგ გამჭვირვალეობაზე ვლაპარაკობთ.

მიუხედავად ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს მცირე ასაკისა, მაინც მოვასწარით იმ აზრის გათავისება, რომ ამ წარმონაქმნს, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ბევრი გარეული თუ შინაური არაკეთილმოსურნე და მტერიც ვი ჰყავს. მათი მიზნების სარეალიზაციოდ კი, პირველ რიგში, სახსრებია საჭირო. ჰოდა, ნუთუ ასე აწყობილადაა ჩვენი საქმე, რომ თვითონ ვუქმნით ყველა ჯურის ავისმქნელს პირობას, რომ გრანტის სახით სრულიად ლეგალურად მიიღოს განუსაზღვრელი დაფინანსება და ამით ჩვენს უცხოელ მოკეთეებსა და დონორებსაც ჩრდილი მიაყენოს?

**თენგიზ გრიგალაშვილი,**
საქინფორმის კორ.
სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისათვის“

სახელმწიფო ქონება

# არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს

**პრეზიდენტის დავალების შესრულების მიზნით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ წარადგინა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და უწყებების, აგრეთვე, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე გადაცემული უძრავი ქონების აღრიცხვიანობის მოწესრიგების აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“.** საზოგადოებრიობის გარკვეულ ნაწილში წარმოიშვა ეჭვი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ბრძანებულებით შეიძლება დაირღვეს ზოგიერთი უწყებისა თუ ორგანიზაციის, კერძოდ კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კანონით მინიჭებული უფლება, რომ მის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების განკარგვა განახორციელოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსაგან დამოუკიდებლად. ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტების მისაღებად საქინფორმის კორესპონდენტი დაუკავშირდა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილეს **ზურაბ გარაყანიძეს.**

– პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულება მიზნად ისახავს სახელმწიფო უძრავი ქონების აღრიცხვიანობის სისტემის შემუშავებას და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით, მათ შორის იჯარით, ქირავნობით და უზუფრუქტით; სახელმწიფო ქონების ვადიან სარგებლობაში გაცემის საკითხის დარეგულირებას საკოორდინაციო საბჭოს მეშვეობით, – თქვა ზურაბ გარაყანიძემ. – წარმოდგენილი ბრძანებულების პროექტი არ ითვალისწინებს მეცნიერებათა აკადემიისთვის ან სხვა უწყებებისთვის კანონით მინიჭებული უფლებების გაუქმებას.

ბრძანებულების პროექტის მე-5 პუნქტით განისაზღვრება, რომ ქალაქებისა და რაიონების მიხედვით განხორციელდება სამთავრობო, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადაცემული და სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ბალანსზე არსებული, მათ შორის, სარგებლობის უფლებით გაცემული (იჯარით, ქირით, უზუფრუქტით და ა. შ.) უძრავი ქონების სრული აღწერა. აქედან მიღებული შემოსავლის მითითებით, ხოლო შესაბამისი სრულყოფილი ინფორმაცია წარედგინება საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს. ბრძანებულების მე-6 პუნქტის შესაბამისად სამინისტროს ევალება დაამუშაოს სამუშაო ჯგუფების მიერ მიწოდებული ინფორმაცია და გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე შესაბამისი რეკომენდაციები მასალებთან ერთად წარუდგინოს საკოორდინაციო საბჭოს. ამავე დროს მე-7 პუნქტით, საკოორდინაციო საბჭო, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და უწყებებისათვის, სამტატო განრიგისა და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭირო (აუცილებელი) ადმინისტრაციული შენობისა და სხვა არასაცხოვრებელი ფართობის ზღვრული ნორმატივის დადგენისა და სხვა საჭირო ღონისძიებების გატარების მიზნით ამზადებს და საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს წინადადებებს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

აღნიშნული ბრძანებულების პროექტი, რომელიც განიხილეს და მოიწონეს 2002 წლის 27 მარტის საქართველოს მთავრობის სხდომაზე, არ ეწინააღმდეგება კანონს „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“, პირიქით – წარმოდგენილი ბრძანებულების პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას, ასევე მეცნიერებათა აკადემიის ინტერესების შესაბამისად მეცნიერების პრიორიტეტული დარგების დაფინანსებასა და თავად აკადემიის სისტემაში მომუშავე პერსონალის საყოფაცხოვრებო და სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

**ოთარ ტურაბელიძე,**
საქინფორმის კორ.

კვირა

## რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

**— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს დოდო ჭიჭინაძე.**



### ქვეყნისთვის

– უზომოდ მიყვარს ჩემი სამშობლო. საქართველო ჩემი სათაყვანებელი ხატია და ამიტომ ყოველთვის, უმნიშვნელო მოვლენებიც კი, გულთან ახლოს მიმაქვს. რასაკვირველია, დიდი უბედურება იყო მიწისძვრა – ჩვენს ქვეყანას დამატებითი ზარალი ნამდვილად არ სჭირდებოდა, მაგრამ რას ვიზამთ, – ბუნება მბრძანებელია... და მაინც, ვფიქრობ, ბოლო დღეებში კიდევ უფრო მეტმა ახალგაზრდამ მიაშურა ეკლესიას, რასაც პირადად მე დიდ სიკეთედ, კარგ ძვრად მივიჩნევ. ძალიან მინდა, რომ საქართველოს მომავალი მშენების გზით წარიმართოს და ეს გზა ეროვნულ თავისებურებებზე, ეროვნული კულტურის მონაპოვარზე იყოს დაფუძნებული. მსოფლიოს მრავალფეროვნებას ხომ ცივილიზაციათა, კულტურათა სიმრავლე განაპირობებს და მათ შორის რჩეული საქართველოა, ამიტომ საქართველომ, ქართველმა ერმა ეროვნულ თვითმყოფადობას არასოდეს არ უნდა უღალატოს. მინდა მოვესწრო გამთლიანებულ საქართველოს და ლიმილიან ქართველ ბავშვებს. იქნებ, საქართველოს პრეზიდენტის ელჩის მეგრელიძის ვიზიტი თურქეთში და იქ გამართული მოლაპარაკებები სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია? ამის იმედი უნდა გვქონდეს.

### ჩემთვის პირადად

– ჩემს ასაკსა და მდგომარეობაში ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს, გამორჩეული არაფერი ხდება, მაგრამ ამ ფონზეც კი, დიდი სიხარული მომანიჭა ჯერ „ალიონის“ ერთ-ერთმა სიუჟეტმა, შემდეგ კი, სტუდია „მაესტროს“ გადაცემამ „უცნობი“, რომელთა მთავარი გმირი ჩემი უსაყვარლესი ძმისშვილი გოგი ჭიჭინაძე იყო...

ვსარგებლობ შემთხვევით და „საქართველოს რესპუბლიკის“ საშუალებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ თქვენი გაზეთის მკითხველებს, თანამშრომლებს და სრულიად საქართველოს.

აღრიცხვიანობის გასაუმჯობესებლად

# აქციზური ჯგუფები საგადასახადო დეპარტამენტში

აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიუროს უფროსის ანდრო კოტეტიშვილის მონაცემებით, რომელიც მან საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს სათათბირო საბჭოს წევრებს გააცნო, ბიუროს შექმნამდე, საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აღურიცხაობის ფაქტები, რაც ხორციელდებოდა დაუცველი ეკონომიკური საზღვრებიდან კონტრაბანდული საქონლის შემოდინებით და მისი შემდგომი უკანონო რეალიზაციით, აგრეთვე განხორციელებული იმპორტით, ხოლო შემდგომ საგადასახადო სივრცეში აღურიცხავი რეალიზაციით, რასაც ეგრეთ წოდებული „ფილტრი ფირმების“ უკანონო საქმიანობაც ემატებოდა.

ბიუროს უფროსის განცხადებით, მისი შექმნის დღიდან აქცენტი გადატანილია ნავთობის დისტილატების რეალიზაციის საცალო ქსელის მონიტორინგის სრულყოფაზე, რასთან დაკავშირებითაც შემოღებულია ნავთობპროდუქტების ყოველდღიური მიღებისა და რეალიზაციის ჟურნალები, მიმდინარეობს სპეციალური დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურების კონტროლი, რაც ყალბი საბუთების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

სათათბირო საბჭოს სხდომაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციებიდან ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობის გამო ვერ ხერხდება საგადასახადო სივრცის ოპერატიული ანალიზი. გარდა ამისა, თებერვალში გავრცელებული ცრუ ინფორმაციის შედეგად, რომელიც ნავთობპროდუქტების იმპორტზე გადასახადის, ვითომდა, გაზრდას შეეხებოდა, აღნიშნული პროდუქცია ქვეყანაში დიდ პარტიებად შემოვიდა, რამაც ნამეტების არსებობა განაპირობა. მიმდინარე თვის დამლევამდე, აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსალოდნელია 20 ათას ტონამდე იმპორტული ბენზინის შემოტანა.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ განსხვავებულია საგადასახადო დეპარტამენტისა და აქციზური მარკების მონიტორინგის ბიუროს ინფორმაციები დარიცხული და ჩამორიცხული თანხების შესახებ. ამდენად, სათათბირო საბჭოს აზრით, საჭიროა ნავთობპროდუქტების აღრიცხვიანობის გაუმჯობესება მათი რეალური მოხმარებიდან გამომდინარე და კონკრეტული პარამეტრების მიღწევაზე სრული პასუხისმგებლობის აღება.

სათათბირო საბჭოს გადაწყვეტილებით, ნავთობის დისტილატების დაბეგვრისა და აღრიცხვის თვალსაზრისით რეგიონებში გაწეული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. მიღებულია დადგენილება საგადასახადო ინსპექციაში ე.წ. „აქციზური ჯგუფების“ შექმნის შესახებ, რომელთა მოვალეობა აქციზური საქონლის აღრიცხვისა და დაბეგვრის ღონისძიებათა განხორციელება იქნება.

ამასთან ერთად, აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიუროს დაევალა წინადადებების მომზადება აქციზური საქონლის დაბეგვრის მხრივ არსებული ინდივიდუალური შეღავათების მოწესრიგების, ნავთობპროდუქტებისა და სხვა სახეობის აქციზური საქონლის საბაჟო სივრციდან საგადასახადო სივრცეში გადაცემისა და შემდგომი აღრიცხვის უწყვეტი მექანიზმის შექმნის, აგრეთვე აქციზური საქონლის მოძრაობაზე სრული მონიტორინგით მიღებული შედეგების საფუძველზე, მისი შემდგომი დაბეგვრის სრულყოფის მიზნით სათანადო ანალიზის ჩატარება.

**დიანა ჯღუნიაშვილი,**
საქინფორმი.

გარემო

# მელანჟის ნეიტრალიზაცია მაისის ბოლოს დასრულდება

ქართველი მეცნიერები ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიაში ყოფილ საბჭოთა კავშირის სამხედრო აეროდრომზე მაისის ბოლოს დაასრულებენ „საშიში საწვავის სასარგებლო წიაღისეულად გარდაქმნის“ ე. წ. მელანჟპროექტის მეორე, დასკვნით ეტაპს.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა საქართველოს ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა ავთანდილ დოლიძემ, 450 ტონა მელანჟის ნეიტრალიზაციის სამუშაოების 2/3 უკვე შესრულებულია.

დოლიძის ინფორმაციით, მელანჟის ნეიტრალიზაციის შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში რეაბილიტაციის პროცესი ჩატარდება, რათა მოსახლეობისათვის აბსოლუტურად უსაფრთხო იყოს ამ ტერიტორიაზე შესვლა.

სამუშაოების დასრულების შემდეგ 8 ივნისს ეუთოს გერმანელი ექსპერტები ეწვევიან საქართველოს. ისინი შეამოწმებენ შესრულებულ სამუშაოებს.

ამჟამად „მელანჟპროექტის“ ღირებულება 350 ათასი დოლარს შეადგენს და იგი ხორციელდება ეუთოს მისიის ხელმძღვანელობით, ხოლო ფინანსირდება გერმანიის, ნიდერლანდის, თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის მიერ.

პროექტის პირველი ეტაპი 5 იანვარს დაიწყო, რაც გულისხმობდა ტექნიკურ მომზადებას. ამ სამუშაოებში 30 ადგილობრივი მცხოვრებია ჩართული.

**პრაიმ-ნიუსი.**

გვწერენ

# რატომ დაამახინჯეს აეროპორტი?

კარგა ხანია თბილისის აეროპორტში აღარ ვყოფილვარ.

ახლახან თელავთან დაძმობილებულ გერმანიის ქალაქ ბიბერახში ვაცილებდით თელავის მე-9 საშუალო სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც ძალიან განიცდიდნენ პირველი ფრენის სიხარულს.

რეგისტრაციის შემდეგ, ნახევარ საათში, ისე გაფრინდა ლაინერი, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად, თვალი ვეღარ მოვკარით ბავშვებს და ვერც თვითმფრინავს! ძალიან დაგვწყდა გული... ეს კი მოხდა იმის გამო, რომ ასაფრენი ბილიკების დანახვა პრაქტიკულად შეუძლებელია: გადასახედი საოცრად შეუმცირებიათ, სავაჭრო ობიექტებით ჩაუხერგავთ.

ამით აეროპორტის სათაო ნაგებობა ძალიან დამახინჯდა, მოსაცდელი დარბაზი დაბნელდა.

რატომ გააკეთეს ეს?

**თენგიზ გაბიტაშვილი,**
თელავი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(პირველი გვერდიდან)

დღეს ჩვენი ხალხის რელიგიური გამოღვიძებისა და ეროვნული ღირებულებების აღორძინების საინტერესო და ამავე დროს მეტად რთული პროცესი მიმდინარეობს.

შეიძლება კი წარმოდგენა საქართველოსი და ქართველი ხალხისა ჩვენი სარწმუნოებისა და ჩვენი ურთიერთობების, ჩვენი ტრადიციებისა და ოჯახური ყოფის გარეშე?! როგორი იქნებოდა ჩვენი ქვეყანა, რომ არ ჰყოლოდა მას ისეთი თავდადებული, ერთგული და ძლიერი დამცველნი, როგორებიც იყვნენ: წმიდა მეფე მირიანი და ნანა დედოფალი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, არჩილ და ლუარსაბი, დიმიტრი თავდადებული, ქეთევან დედოფალი, და ათასობით და ათიათასობით სხვა მოწამე, რომელთაც თავი დადეს მამულისა და რწმენისათვის.

საუკუნეთა მანძილზე ქართველი დედა შვილს გმირად ზრდიდა, მამულისადმი თავდადების სულისკვეთებას ულვივებდა. სწორედ ქართველი ქალის დამსახურებაა, რომ ჩვენს წინაპრებს მტკიცე სარწმუნოება და თავგანწირული სიყვარული ჰქონოდათ; რომ არა ასეთი დამოკიდებულება, დღეს ჩვენი ქვეყანა და ხალხი აღარ იარსებებდა. აი, ის ცხრა სათნოება, რომელთა შესახებაც ბრძანებს წმიდა მოციქული პავლე, იყო მთავარი ორიენტირი ჩვენი დიდებული წინაპრებისათვის. იგი ჩვენი და ჩვენი შვილების ცხოვრების საფუძვლადაც უნდა იქცეს, რაც კვლავ ქართველი ქალის მიერ უნდა განხორციელდეს, მისი ძალისხმევით ქრისტიანობის მტკიცე საძირკველზე უნდა გაერთიანდეს ეკლესიაც, სკოლაც და ოჯახიც.

ამიტომაც მინდა, ამ საკითხზე განსაკუთრებულად შევჩერდე.

უპირველეს სათნოებად მოციქული სიყვარულს მიიჩნევს და კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში მას ასე ახასიათებს: „სიყვარული სულგრძელია და ტკბილი; სიყვარულს არ შურს; სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზვაობს; არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს; არ შეჰხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს; ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს. სიყვარული არასდროს განქარდება (I. კორ. 13, 4-8).

ეს საოცარი სიტყვები თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაითავისოს და თავისი ცხოვრების წესად აქციოს.

სიყვარული გადამრჩენელია და მარადიული, ამასთან, იგი სათავეა სიხარულისა, რომელიც ასე აკლია თანამედროვე კაცობრიობას. ჭეშმარიტი სიხარულის განცდა შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს.

სიხარული მეორე საფეხურია სიყვარულის შემდეგ. სულიერი სიხარული არ შეიძლება იყოს ცოდვით სავსე ყოფის შედეგი, არამედ იგი ნაყოფია ღვთის სათნო, წმიდა ცხოვრებისა. იგი საერთოდ არ არის ყოფით კეთილდღეობასთან დაკავშირებული. მას ხელოვნურად, საკუთარი სურვილით ვერ გამოიწვევ. ეს ბუნებრივი მდგომარეობაა სულიწმიდით განსხეულებული გულისა. ამიტომაც წერს წმიდა იოანე ოქროპირი: „არც ძალაუფლების სიდიადე, არც ფულის სიმრავლე, არც ძლიერება, არც ჯანმრთელობა, არც უხვი სუფრა, არც შესანიშნავი ჩაცმულობა და არც სხვა რამ ადამიანური უპირატესობანი გვანიჭებენ ნამდვილ სიხარულს; იგი შედეგია სულიერი კეთილშობილებისა და სუფთა სინდისისა".

სულიერი კეთილშობილება და წმიდა სინდისი ანიჭებს პიროვნებას ერთ-ერთ ყველაზე დიდ ადამიანურ ღირსებას – უშურველობას და სხვისი სიხარულითა და ბედნიერებით გახარების უნარს.

სულიწმიდის მადლთა შორის მესამე ადგილი მშვიდობას უკავია.

მშვიდობა ყველასათვის სასურველია, მაგრამ მისი მიღწევა არ არის იოლი. ჩვენს გარშემოც და ჩვენს სულშიც მშვიდობა რომ სუფევდეს, მშვიდობისმოყვარე გული უნდა გვქონდეს, ეს კი წყალობაა ღვთისა და ამ მადლს მხოლოდ ის მოიპოვებს, ვინც ვნებებს სძლევს. ბედნიერია ოჯახი, სადაც ღვთიკურთხეული მშვიდობით დაჯილდოებული ადამიანები ცხოვრობენ. ისინი სხვებისაგან ფარულად, შეუმჩნევლად სთესენ ამ სიკეთეს და დამაწყნარებლად მოქმედებენ გარშემომყოფებზეც და, საერთოდ, საზოგადოებაზეც. მშვიდობას იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მშვიდობისმყოფელთ უფალი ძედ ღვთისად მოიხსენიებს.

სულიერება

# სააღდგომო ეპისტოლე

## უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II

მეოთხე ადგილზე მოციქული პავლე მოთმინებას აყენებს.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების წარმომადგენელთა უმრავლესობას არათუ დიდი, არამედ მცირეოდენი მოთმინების უნარიც კი აღარ შესწევს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ყოფა სამოთხედ არასოდეს იქცევა, რადგან, როგორც წმიდა იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს, „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას" (1 იო. 5, 19); ამ ქვეყნად პრობლემები არ დაილევა, რადგან ბოროტება ებრძვის სიკეთეს და ამ ბრძოლის მთავარი ობიექტი არის ადამიანი. დედამიწაზე განსაცდელისა და ტკივილის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია; წარმოუდგენელია პიროვნება, რომელსაც არ მოუწევს დემონებისაგან წაქეზებული ავი და გაბოროტებული ადამიანების თავდასხმებთან შეჭიდება. აი, ამ დროს აუცილებელია, გამოიჩინოთ კეთილგონიერება და მოუხმოთ მოთმინებას, რომ არ მიაგოთ ბოროტი ბოროტისა წილ. თქვენი მოთმინების მტკიცე კედელი, აისხლეტს დემონის ისრებს, დაგიცავთ და დაგიფარავთ სულიერი დაცემისაგან. სოლომონ ბრძენიც ასე გვარიგებს: „დამთმენი კაცი გონიერია, ის კი, ვინც ადვილად ღიზიანდება, სიბრიყვეს ავლენს" (იგავნი 14, 29). მოთმინებასთან ერთად აუცილებელია, რომ ავისმოსურნე ან თქვენზე ავისმთქმელი ადამიანი კი არ გძულდეთ, არამედ გებრალებოდეთ, როგორც ეშმაკის ცდუნების მსხვერპლი და ილოცოთ მისთვის.

მოთმინება ერთგული რაინდივით იცავს მშვიდობას, სიხარულსა და სიყვარულს და თავადაც უხვად საზრდოობს ამ მადლთაგან.

მაშ, თუ გსურთ, გაიმარჯვოთ, – მოითმინეთ, რადგან ვინც დაითმენს, ნამდვილად დიდ წარმატებას ის მიაღწევს ბოლოს.

მოციქულ პავლესთან სრულყოფილების კიბის მეხუთე საფეხურზე სიკეთე დგას. სიკეთე სულიერი სიმდიდრის სათავეა მომდინარეობს და კრძალულებით არის შემკული.

კეთილი ადამიანი ყოველთვის კარგად არის განწყობილი და მოწყალე სხვათა მიმართ. მისთვის ახლობლებთან თუ უცხო პირებთან შეხვედრა სიხარულის მომტანია. იმერეთის ეპისკოპოსი წმიდა გაბრიელი (ქიქოძე) მიელი წლის განმავლობაში ყველას ასე ესალმებოდა: „ქრისტე აღსდგა", რადგან ყოველი შეხვედრა პასექის სიხარულს ანიჭებდა. ასეთი განწყობა არ მოდის გონებიდან. იგი გულის თვისებაა.

მოწყალება არის სულიერი კიბის შემდეგი საფეხური. გულმოწყალება ცხონებისაკენ მიმავალი ყველაზე სწორი და უმოკლესი გზაა. იგი გულისხმობს თანალმობას, თანადგომას, სხვის ტკივილს გაზიარებას, საკუთარი თავის დათმობას, და საერთოდ, ცხოვრებას მოყვასისათვის. ამიტომაც ბრძანებს უფალი, რომ საშინელი სამსჯავროს დროს მოწყალენი იქნებიან შეწყალებულნი და დაიმკვიდრებენ ცათა სასუფეველს.

იოანე მოწყალის ცხოვრება ისევე, როგორც მრავალი სხვა წმინდანისა, საუკეთესო მაგალითია გულმოწყალებისა.

მოწყალების შემდეგ მოციქული პავლე საუბრობს რწმენაზე. რწმენა ღვთის არსებობის დაჯერებას კი არ ნიშნავს მხოლოდ, იგი, უპირველესად, გულისხმობს ცხოვრებას ღმერთში, სასოებას, იმედს მისი წყალობისას. იგია ერთგულება და მორჩილება ღვთის ნებისადმი. „რწმენა, – წერს წმიდა იოანე ოქროპირი, – დედაა ყოველთა სიკეთეთა, იგია წამალი გადარჩენისა". იოანე კიბისაღმწერელი კი ასე გვაფრთხილებს: „ვინც ჭეშმარიტი რწმენის გარეშე იქმს კეთილ საქმეთ, მსგავსია კაცისა, რომელიც მოპოვებულ წყალს გატეხილ ჭურჭელში ასხამს". ამიტომაც გადარჩენა და ცხონება ჭეშმარიტი სარწმუნოების გარეშე შეუძლებელია, რადგან ჭეშმარიტი სარწმუნოების გარეშე შეუძლებელია სულიწმიდის ნიჭთა მოხვეჭა.

რწმენას მოსდევს სიმშვიდე, თვინიერება. მშვიდთა შესახებ ამბობს მაცხოვარი: „მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა". სიმშვიდე გულისხმობს თავმდაბლობას, რადგან სწორედ თავმდაბლობა გამორიცხავს ყოველგვარ გაღიზიანებას და მრისხანებას, ანუ მიზეზს შფოთისას. მოსე წინასწარმეტყველმა ღვთის უდიდესი მადლი იმიტომ მოიპოვა, რომ იგი იყო ყველაზე მშვიდი და თავმდაბალი დედამიწაზე მაშინ მცხოვრებ ადამიანთა შორის.



მეცხრე სათნოება არის თავშეკავება.

თავშეკავებულობა ახასიათებდა ყველა დიდ და ბრძენ ადამიანს. თავშეკავება – გონიერებაა, იგი ემოთმოყვარებაზე, ვნებებსა და სხვა ცოდვით მიდრეკილებებზე უარის თქმაა. იგია ბრძოლა საკუთარ თავთან.

დღეს ჩვენ განსაკუთრებით გვმართებს ამ უნარის გამომუშავებაზე ზრუნვა, რადგან მთელი მსოფლიო მოიცვა ზნეობრივმა დაცემამ და იგი, როგორც ჭაობი, ყველას თავის გახრწნილ წიაღში ითრევს.

XX საუკუნემ თავისი მატერიალურ-ტექნიკური მიღწევებით, მსოფლიო ომებით, ლოკალური კონფლიქტებით, ახალი გადანაწილების სურვილითა და სხვა პრობლემებით ადამიანებში პესიმიზმი და ხვალინდელი დღისადმი შიში დანერგა.

მსოფლიოში ამჟამად რომ დიდი გარდატეხის პროცესი მიმდინარეობს, ყველამ ვიცით. ყველამ ვიცით, რომ გუშინდელი დღე ხვალ არ განმეორდება და რომ ხვალინდელი დღე არც დღევანდელს აღარ გაიმეორებს.

დიახ, დრო იცვლება და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად, ამიტომ ეკლესიამ უნდა გაითვალისწინოს ის სულიერი და მატერიალური პრობლემები, რომელსაც ახალი ცხოვრება გვთავაზობს და, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს, რომ შესაძლებლობისამებრ შემზადებული შეხვდეს მიმდინარე პროცესებს, რათა თაობა არ დამახინჯდეს.

ჩვენი ყოფის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი მოვლენაა ცენტრალიზებული, წინასწარ დაგეგმილი ეკონომიკის შეცვლა თავისუფალი საბაზრო ცხოვრების წესით. ტოტალიტარულ რეჟიმს შეჩვეული ხალხი, სამწუხაროდ, ადვილად ვერ ეგუება ახალი დროის მოთხოვნილებებს და დაბნეული სასოწარკვეთილებაშივარდება.

აუცილებელია ანალიტიკური აზროვნება, ახალი იდეები, გონიერი, შორსმჭვრეტელი ადამიანები, რომ ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი რისკიც და მსხვერპლიც მაქსიმალურად შემცირდეს. ამისათვის კი, როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი მილტონ ფრიდმანი წერს, სახელმწიფომ ნელ-ნელა უნდა დაიწყოს სახელმწიფო აპარატის როლისა და გავლენის შემცირება. ისეთ პერიოდში კი, როგორსაც ჩვენი ქვეყანა ამჟამად გადის, ეკონომიკის 50% მაინც (განსაკუთრებით სტრატეგიულ ობიექტებს) სახელმწიფომ უნდა აკონტროლებდეს, ნახევარს კი – საბაზრო ურთიერთობები. ამასთან, ყოვლად აუცილებელია წვრილი და საშუალო ბიზნესისათვის ხელშეწყობა. ჩვენთან კი ბევრი რამ არასწორად კეთდება. თავისუფალი ბაზარი ევროპაში საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა; საქართველოში კი ყველაფერი რამდენიმე წელში გვინდა შევცვალოთ. ვფიქრობ, დაჩქარებული ტემპები სერიოზული შეცდომების მიზეზი ხდება, რაც ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი საზოგადოების ყოფას კიდევ უფრო ამძიმებს.

იმის საშიშროებაც აშკარაა, რომ მთავარი ყურადღება მიპყრობილია ტექნიკური, ეკონომიური და ფინანსური ეფექტების მიღწევაზე, ურთიერთობის ზნეობრივი მხარე კი სრულიად დავიწყებულია. უფრო მეტიც, ლამის იძულებით ხდება ზნეობრიობის გადაგვარება, ეს კი სულიერი და ფიზიკური განადგურების რეალურ საფრთხეს ქმნის. ღმერთი ნამდვილად არ გვაპატიებს თავაშვებული ცხოვრების წესის დამკვიდრებას და ეს ყველამ უნდა გაითავისოს.

სამწუხაროა, რომ ტელევიზია და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანიც, ყოველგვარი მორიდების გარეშე აჩვევენ საზოგადოებას სულიერი დაცემის გამაღვიძებელ სცენებს, ძალადობასა და ათასგვარ მკვლელობებს და ამით ანგრევენ ჩვენში ღვთის მიერ დადგენილ ზღუდეებს.

ზოგიერთები ამას უკომპლექსობის დამკვიდრებას უწოდებენ, რაც, მარტივად რომ ვთქვათ, უგუნურებაა. ასეთი სახით შემოთავაზებული ჭუჭყი ქვეცნობიერად ილექება ადამიანის, განსაკუთრებით, მოზარდებისა და ახალგაზრდების ფსიქიკაში და შემდეგ თავის ცხოვრებაში, ვითარების შესაბამისად თავადაც იმეორებენ იმავეს. ჩვენ თვალწინ, ჩვენს მიერ ყალიბდება სულიერად დამახინჯებული ცხოვრებისა და აზროვნების წესი. პასუხისმგებლობას კი არავინა გრძნობს. მართალია, მასმედიის წარმომადგენლებს შეუძლიათ თქვან, რომ, თუ ისინი არ აჩვენებენ მსგავს ფილმებს და გადაცემებს, არ დაწერენ და არ გააშუქებენ ასეთ თემებს, სხვა ქვეყნის ტელევიზიები და საინფორმაციო საშუალებანი ამას მაინც გააკეთებენ (უცხო ქვეყნების გადაცემები კი მრავალთათვის ხელმისაწვდომია).

ამაში სიმართლე არის, მაგრამ სიმართლეა ისიც, რომ არ შეიძლება ყველა პრობლემის – სულიერის თუ მატერიალურის წინაშე ერთბაშად დავაყენოთ ჩვენი მოსახლეობა, რაც დეპრესიას, ორიენტაციის დაკარგვას და აზროვნების გადაგვარებას იწვევს.

და თუ მაინც მხოლოდ ასეთი პროდუქციის მოხმარება გვსურს, იგი ხალხს, ქრისტიანული ზნეობიდან გამომდინარე, სულ სხვა კომენტარებითა და სხვა ფსიქოლოგიური კუთხით მაინც უნდა მივაწოდოთ. ამის გაკეთება კი ნამდვილად არ არის ძნელი.

ფაქტი ერთია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა სრულიად მოუმზადებელი შეხვდა „თავისუფლებას", იმ აღვირახსნილი და მოურიდებელი ცხოვრების წესს, რომლის წინაშეც იგი ასე მოულოდნელად აღმოჩნდა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ბევრმა ვერ გაუძლოს ცდუნებას, დაემონოს აჯხორც ვნებებს და ცხოველურ ინსტინქტებს.

ასეთნი შიშის, ჰალუცინაციების, სრული სულიერი გამოფიტვისა და მსხვრევისათვის არიან განწირულნი. ადრე თუ გვიან, თვითონაც აუცილებლად მიხვდებიან, რომ მოლიპული გზით მიექანებიან, მთავარია, თვითგამორკვევის პროცესი არ გაუჭიანურდეთ.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი, უპირველეს ყოვლისა, თავად ახალგაზრდობამ უნდა მოძებნონ და თვითონ უნდა მოინდომონ ჭეშმარიტების გზით სვლა.

მჯერა, ისინი გააცნობიერებენ, თუ რა დიდი სულიერი ბრძოლა აქვთ გადასატანი. ჩვენ დიდგორის ველი გველოდება. თითოეულმა ჩვენგანმა, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდობამ, უნდა შეძლოს დავითობა. ოღონდ მათ თავდაპირველად უნდა სძლიონ ცოდვათა შორის უპირველესს – ამპარტავნებას, ყალბ წარმოდგენას, თითქოს ისინი უფროს თაობასთან შედარებით უფრო განათლებულნი, მრავლის მცოდნენი და გონიერნი არიან.

მართალია, თაობათა შორის წინააღმდეგობა ყოველთვის იყო და კვლავაც იქნება, მაგრამ იგი არ უნდა გადაიზარდოს უგულებელყოფასა და გაუცხოებაში. ახალგაზრდებს მეტი დაფიქრება და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მართებთ, მათ უნდა იცოდნენ, რომ ტელევიზიით, ინტერნეტით, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით მიღებული ცოდნა ზედაპირულია, სიღრმე აკლია და იგი ასეთივე ადამიანებს აყალიბებს. ძველი თაობა კი, მიუხედავად მრავალი ნაკლოვანებისა, უფრო წინდახედული იყო და უფრო ღრმად აზროვნებდა.

დიდი ჩინელი ფილოსოფოსის კონფუცის მიერ შემოთავაზებული მაგალითი მინდა შეგახსენოთ: ერთხელ იგი თავის მოწაფეებთან ერთად სეირნობდა. მან შეამჩნია კაცი, რომელიც ჩიტებს იჭერდა, მიუახლოვდა მას და ჩიტებით სავსე მისი გალია დაათვალიერა. აღმოჩნდა, რომ იქ მხოლოდ პატარა ჩიტები იყვნენ. – დიდები სადღა არიან? – იკითხა კონფუციმ. კაცმა უპასუხა: „დიდები გონიერნი არიან და ფრთხილნი. ვიდრე დაგებულ მახეს მიუახლოვდებიან, გულდასმით შეისწავლიან გარშემო ყველაფერს და თუ რაიმე საეჭვოს შეამჩნევენ, მაშინვე მიფრინავენ და ახალგაზრდა ჩიტებიც თან მიჰყავთ; კაკანაში მხოლოდ უფროსთაგან განცალკევებული პატარები ებმებიან.

– გესმით? – უთხრა ფილოსოფოსმა მოწაფეებს, – ჩიტების დამჭერმა რა სიბრძნე გვითხრა!

ესაა ჭეშმარიტება, რომელიც ყველგან, ყოველთვის და ყველასათვის გასათვალისწინებელია. უფლის მეხუთე მცნებაც გვაფრთხილებს: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა", რაც გულისხმობს არა მარტო მშობლების, არამედ – საერთოდ უფროსი თაობის პატივისცემას. ამ ტრადიციას ჩვენი ხალხი ყოველთვის იცავდა და იგი მომავალმა თაობამაც უნდა გააგრძელოს.

თავის მხრივ, მამებმაც მეტი ლმობიერება უნდა გამოიჩინონ შვილებისადმი, რადგან მათ ჩვენთან შედარებით კიდევ უფრო რთულ დროს მოუწიათ ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა და გაცილებით მეტი პრობლემები და სიძნელეები აქვთ დასაძლევი.

თაობათა ერთობა და ერთსულოვნება დღეს ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ეშმაკი ჰყოფს და აპირისპირებს, ღმერთი კი აერთიანებს და არიგებს.

არ შემიძლია, ერთხელ კიდევ კვლავ არ შევეხო ნარკომანიის პრობლემას. ისინი, რომლებიც ამ საწამლავს მიეჩვივნენ, ჩვენი ავადმყოფი შვილები არიან, რომლებსაც უნდა დავეხმაროთ, რომ როგორმე თავი დააღწიონ ამ სამსჭვალს. ერთხელ კიდევ მივმართავ მათ მამა-შვილურ სიყვარულით: პირველ რიგში, თქვენ თვითონ უნდა გაგიჩნდეთ სურვილი გადარჩენისა. ამის გარეშე სხვათაგან რაიმე მცდელობას აზრი არა აქვს. იმისათვის კი, რომ ეს სურვილი იყოს მყარი და გაუძლოს ბოროტის მხრიდან მრავალ შემოტევას, ღვთის შეწევნა აუცილებელია, რაც მხოლოდ ეკლესიური ცხოვრებით მიიღწევა. ლოცვის, აღსარებისა და წმიდა ზიარების გარეშე ზეაღმყვანებელ სულიერ კიბეზე სვლა შეუძლებელია.

ჩვენ გვყავს ბევრი ახალგაზრდა, რომელთაც მოინდომეს და შეძლეს კიდეც წლობით გამრუდებული თავისი ყოფის შეცვლა, ცხოვრების ჭეშმარიტი აზრი და მიზანი გააცნობიერეს, განთავისუფლდნენ ნარკოტიკებისაგან, და საკუთარ სულში სულ სხვა, მეტად საინტერესო და საოცარი სამყარო აღმოაჩინეს.

ღმერთი იყოს შემწე და აღმადგინებელი ყოველი დაცემულისა.

და ბოლოს, თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო ეკოლოგიასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მოსახლეობა ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებს, რამდენად მძიმეა ამ მხრივ შექმნილი სიტუაცია. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ უკანასკნელი 70-80 წლის მანძილზე ჰაერის დაბინძურება 100000-ჯერ გაიზარდა, განადგურდა და კვლავაც ნადგურდება ათასობით ჰექტარი ტყის საფარი, იწამლება წყალი, გაუდაბურდა უზარმაზარი მიწის ფართობები. რამდენად შემაშფოთებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ დედამიწაზე უკვე ყოველ საათში ისპობა ცოცხალ არსებათა ორი სახეობა, რაც გლობალური სისტემური კრიზისის მაჩვენებელია. თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, იზრუნოს მის ირგვლივ არსებულ გარემოზე. ეს ზრუნვა ჩვენი და ჩვენი შვილების კეთილდღეობისთვის.

მინდა გაცნობოთ, რომ საქართველოს საპატრიარქოსთან ყალიბდება როგორც ეკოლოგიისა და გამწვანების დეპარტამენტი, ისე ნარკომანთა რეაბილიტაციის (აქამდე არსებულისაგან სრულიად განსხვავებული) ცენტრი. ჩვენი დიდი სურვილია, შესაძლებლობისამებრ დავეხმაროთ საზოგადოებასაც და ბუნებასაც და შევქმნათ პირობები არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ არა გვაქვს უფლება, პესიმისტური დასკვნები გამოვიტანოთ როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მსოფლიოს ხვალინდელ დღეზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი ღვთის ხატად არის შექმნილი, რომელსაც შესწევს უნარი, დააღწიოს თავი სიბნელის წყვდიადს და აღადგინოს გაწყვეტილი კავშირი ღმერთთან. ყველაფერი მხოლოდ ჩვენზე, ჩვენს არჩევანსა და სურვილზეა დამოკიდებული. რწმენა, გონიერება, სიყვარული და ნებისყოფა იყო და არის ადამიანის ერთადერთი მკურნალი და დამცველი.

„იყავით ბრძენნი, რომ იყოთ ღმერთთან და პასექის ზეიმის სიხარული არასოდეს დაგტოვებთ თქვენ", – ბრძანებს თეოფანე დაყუდებული.

დღეს მსოფლიო არამიწიერ, უჩვეულო სიხარულს მოუცავს. იგი არ ექვემდებარება არც ანალიზს, არც რაიმე განსაზღვრებას. იგია მადლი, რომელიც უხვად იღვრება უფლის კალთიდან და ალაღებს ყოველი მართლმორწმუნის სულს. ამ სიხარულის გარეშე არ არსებობს ქრისტიანობა. იგი ეფინება ეკლესიის სრულ სისავსეს და მშვიდობითა და სიყვარულით აერთიანებს ყველას.

ისინი კი, ვინც ეკლესიის წიაღში არ იმყოფებიან, შორს არიან ჭეშმარიტი მშვიდობისა და სიყვარულის, უფლის მადლისა და სიხარულისაგან. მათთვის ჯოჯოხეთი უკვე ამ ქვეყნიდანვე იწყება. ამქვეყნიდანვე იწყება ღვთისსათნო ადამიანთა ზე სვლა ცისკენ და ეს პროცესი მსგავსია ებრაელთა მოგზაურობისა ეგვიპტიდან აღთქმული მიწისაკენ.

დედამიწა ცხოვრების აბობოქრებული ოკეანეა, ეკლესია – ნოეს კიდობანი. მის გარეშე გადარჩენა შეუძლებელია.

წმიდა ირინეოს ლიონელი წერს: ეკლესია ამქვეყნიური სამოთხეა. ძველი და ახალი აღთქმის წიგნები კი ამ სამოთხიდან გამომდინარე სხვა და სხვა ხეხილი და ნერგი. მათ, ვისთვით ნაყოფი საუფლო ბაღისა.

ჩვენო საყვარელნო სულიერო შვილნო, თუ ხართ ღმერთთან, იქნებით ეკლესიაში, თუ ნამდვილად ხართ ეკლესიის წევრნი, იქნებით აღვსილნი რწმენით, სიყვარულით და იმედით და მწუხარება თქვენი, განსაცდელი და ტკივილი სიხარულით შეიცვლება. გაიხსენეთ მაცხოვრის სიტყვები: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელი" (იოან. 16, 33).

[illegible] ქრისტეს აღდგომის მადლით, სიხარულითა და სიყვარულით [illegible] და ჩვენც ანგელოზთა თანა ვუგალობთ უფალს: „წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, უფალო საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა შენითა. ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა მაღალთა შინა!"

ყველას გილოცავთ სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების დიად ზეიმს და გახარებთ მარადიული სიხარულის მომანიჭებელ სიტყვებს:

**ქრისტე აღსდგა!**

უფალმა დალოცოს თითოეული თქვენგანი, დალოცოს ჩვენი ქვეყანა და ხალხი, ყოველი წევრი საქართველოს ეკლესიისა. მოგვმადლოს ერთსულოვნება, მშვიდობა, სიბრძნე და კეთილდღეობა, მოგვანიჭოს ნიჭი სულისა წმიდისა, რათა ჩვენზეც აღსრულდეს წმიდა წერილის ეს სიტყვები: „ნეტარია და წმიდა, ვისაც წილი უდევს პირველ აღდგომაში. მეორე სიკვდილს არა აქვს ხელმწიფება მათზე" (გამოცხ. 20, 6). ამინ!

თქვენთვის მლოცველი

**ილია II**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.**

*აღდგომა ქრისტესი,*
*თბილისი, 2002 წ.*

## ალსრულდა: ხელშეკრულებას ხელს ვაწერთ

ადრიანად გავემგზავრე საფრანგეთის რეზიდენციაში, რათა ერთი ერთზე დაველაპარაკებოდი როლან დიუმას: „როლან, მე შენთვის არასოდეს რამე განსაკუთრებული არ მითხოვია. ახლა გთხოვ: როგორც მოლაპარაკების წამყვანმა, თავიდანვე უნდა განაცხადო, რომ საფრანგეთი ხელშეკრულებებს ამ სახით ხელს მოაწერს". როლან დიუმამ უყოყმანოდ მომცა დასტური. როცა თავი მოვიყარეთ, ჯიმ ბეიკერმაც განაცხადა, აშშ-ც ხელს აწერსო. დუგლას ჰერდიც დათანხმდა.

თავიდანვე ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ჰერდი უპირობოდ უჭერდა მხარს გაერთიანებას. დარწმუნებული ვარ, იმ წინა საღამოს ჩვენსა და საბჭოთა მხარეს შორის მიღწეულ შეთანხმებას მისთვის პრობლემები არ გაუჩენია. მაგრამ მისი პოლიტიკური დირექტორი მითითებებს მარტო მისგან კი არა, აშკარად ლონდონიდანაც ღებულობდა, რითაც შეიძლება აიხსნას, ვახშმობისას ჰერდის თანხმობის შემდეგ ბრიტანელმა დირექტორმა რატომ დაიკავა თავისი მინისტრისგან განსხვავებული პოზიცია. საბჭოთა მხარესთან ზეპირად მიღწეული შეთანხმება იმავე ღამით წერილობითაც დაფიქსირდა. ყველა ექვსივე მონაწილის მიერ ხელმოწერილი ეს ტექსტი ბოლოს ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი გახდა.

ხელმოწერა გაჭიანურდა, რადგან ფრანგული ტექსტის მომზადებისას პრობლემები გაჩნდა. ჩვენ ჩვენი მბეჭდავებითა და თარჯიმნებით ფრანგებს ტექნიკური დახმარება აღმოვუჩინეთ – ამით მცირეოდენი საპასუხო სამსახური გავუწიეთ მათ როლან დიუმას დილანდელი გულისხმიერების სამაგიეროდ. ბოლოს ყველაფერი მზად იყო, შევძელო მაგიდას მივსხდომოდით. ხელშეკრულება „ორი პლუს ოთხი" გამზადებული იდო, ასევე განცხადებაც. ედუარდ შევარდნაძემ შეამოწმა, ნამდვილად იყო თუ არა შემოსული პრემიერ-მინისტრ დე მეზიესა და ჩემს მიერ ხელმოწერილი ოფიციალური შეტყობინება აღრინდელ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში ჩატარებული ექსპროპრიაციებისადმი დამოკიდებულების თაობაზე. მერე კი დოკუმენტს ხელი მოვაწერეთ. აღსრულდა.

ამის შემდეგ მიმიღო მიხეილ გორბაჩოვმა ედუარდ შევარდნაძის თანდასწრებით. მან საუბარი იმის აღნიშვნით დაიწყო, რომ ბედმა ინება, ამ პროცესში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მხარეები უმთავრესი მოქმედი პირნი ყოფილიყვნენ...

ამას მოჰყვა პირადული, მეტიც – მეგობრული სიტყვები: გენერალურმა მდივანმა მადლობა გადამიხადა პირადად მის მიმართ ჩემი დამოკიდებულებისთვისაც. აღმითქვა, შეგიძლიათ, კვლავაც თქვენს პარტნიორად მიგულოთო. და იმედი გამოთქვა, რომ ჩემი დამოკიდებულებაც მის მიმართ ამგვარივე იქნებოდა.

13 სექტემბერს შევარდნაძემ და მე „კეთილმეზობლობის, პარტნიორობისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ" ხელშეკრულების პარაფირება მოვახდინეთ. ინიციატივა, რომ ეს ხელშეკრულება საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ყოფილიყო პარაფირებული, თანაც „ორი პლუს ოთხი" ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე დღესვე, საბჭოთა მხარისაგან მოდიოდა. ამით უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ მრავალმხრივი ხელშეკრულების დადების შემდეგ გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ახალი პერსპექტივები გამოჩნდა – ეს იყო სიგნალი, რომელიც ჩვენს ინტერესებსაც უპასუხებდა, როგორც ორმხრივი ურთიერთობის, ასევე ევროპაში სტაბილურობის განმტკიცების თვალსაზრისით. „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულების სწრაფად რატიფიკაციაც, ბუნებრივია, ასევე თავის როლს ითამაშებდა – მის რატიფიკაციას გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაც ხელს შეუწყობდა, როგორც თავისი შინაარსის, ასევე პარაფირების მომენტითაც. ედუარდ შევარდნაძემაც თავის გამოსვლაში მკაფიოდ დაუკავშირა ერთმანეთს 1990 წლის 12 და 13 სექტემბერი: „საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთთანამშრომლობას ეხსნება ფართო ჰორიზონტი და მრავალმხრივი შესაძლებლობები".

ხელმოწერისა და საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრთან დამაგვირგვინებელი საუბრის შემდეგ ბონში დაბრუნებისთვის მზადებას შევუდექი. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა შევარდნაძემ „დიდი ხელშეკრულების" მნიშვნელობა. აშკარა იყო, რა ძლიერ სურდა საბჭოთა ხელისუფლებას, ამ დოკუმენტის მეშვეობით არამარტო ხანგრძლივი პერსპექტივები წარმოეჩინა, არამედ უკვე „ორი პლუს ოთხის" ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე დღესვე გაეხადა ეს მკაფიო. ხალხებს პრაქტიკულად უნდა ვაჩვენოთ, თქვა შევარდნაძემ, რომ მართლაც ახალი ურთიერთობის დაბადებასთან გვაქვს საქმე.

შევარდნაძეც დაეპატიჟე ჰალეში. ვუთხარი: ჩემთან უამრავი საუბრებიდან ხომ იცით, გერმანიის გახლეჩამ პირადად ჩემზე როგორ იმოქმედა, ახლა თქვენთან ერთად მინდა, ჩემს მშობლიურ ქალაქს ვეწვიო-მეთქი. მინდა, იქაურებმა თავისი თვალით დაინახონ: ეს ორი კაცი – შევარდნაძე და გენშერი – დიდებულად უგებენ ერთმანეთს. მე აუცილებლად ეუამბობ მათ, რამდენი გააკეთეთ თქვენ საიმისოდ, რომ ერთიანობისა და დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრების მათი სურვილი ახდენილიყო.

### ვიზიტი მეგობართან

ღიდი გარდატეხის შემდგომ პერიოდში ჩვენი აღმოსავლური პოლიტიკის კიდევ ერთი ასპექტი იყო დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარება ახალ სახელმწიფოებთან, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვნენ ანდა ხელახლა იშვნენ.

ასე ვეწვიე საქართველოს დედაქალაქ თბილისს 1992 წლის 12-13 აპრილს, რათა ახლო მომავალში საქართველოს ევროგაერთიანებასთან ასოცირების შესაძლებლობები შემესწავლა და გამეძლიერებინა ეკონომიკური დახმარება გერმანიის არასტაბილურობი[illegible] რი კონფლიქტები[illegible] მადლიერი იყო, [illegible] დროში გერმანია [illegible] ვაზობდა. ჩვენ ვის[illegible] ნია-საქართველოს [illegible] რულებისა და კულ[illegible] ურთიერთთანამშრ[illegible] სახებ. გარდა ამისა [illegible] და დაწყებულიყო [illegible] ვლითი პროგრამები, ქართველ სტუდენტებს გერმანიაში სწავლის შესაძლებლობა უნდა მისცემოდათ.

ამჯერად თბილისში მე შევხვდი შევარდნაძეს როგორც სახელმწიფოს თავკაცს, რომელსაც, როგორც მე მეჩვენებოდა, ყველაფერზე უნდა ეზრუნა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი რჩებოდა ერთადერთ მაინტეგრირებელ ფიგურად, ვისაც ქვეყნის შედუღაბება შეეძლო. ამის შეგნებამ გადააწყვეტინა მას, მოსკოვიდან, სადაც იგი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პრაქტიკულად უცხოელივით ცხოვრობდა, თბილისში დაბრუნებულიყო. მას მოვალეობა დაეკისრა და იგი არ გაქცევია ამ მოვალეობას. თუმცა ის, როგორც ყოველთვის, სიმტკიცესა და გამჭრიახობას ასხივებდა. ვგრძნობდი, რამხელა ტვირთად აწვა თავისი მძიმე პასუხისმგებლობა. ლამის ნოსტალგიით ისაუბრა მან ჩვენი თანამშრომლობის შესახებ და მეც კვლავ ცოცხლად დამიდგა თვალწინ ჯერ კიდევ არცთუ შორეული წარსული. უნდა ვთქვა, რომ სწორედ ჩვენი გვერდიგვერდ მოღვაწეობა და ჩვენი პირადი ურთიერთობების განვითარება იყო ჩემთვის საბუთი იმისა, თუ რა ძალა აქვს საზიარო მრწამსს, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე იდეოლოგიები და პოლიტიკური დაპირისპირებანი. ის ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც უარი თქვა ავღანეთის წინააღმდეგ ომზე, რომელიც მხარს უჭერდა ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას, ადამიანის უფლებებს, პლურალისტურ დემოკრატიას, საბაზრო ეკონომიკას, აღარ წარმოადგენდა მოლაპარაკების მეორე მხარეს. სწორედ ამ საზიარო პრინციპებმა შეაძლებინეს მას, ერთიანობისკენ მიმავალი გზა გაეხსნა გერმანიისთვის და თანხმობა განეცხადებინა პარიზის ქარტიაზე. ამიტომ ჩვენ მას და მის ქვეყანას, საქართველოს, არასოდეს არ უნდა დავუვიწყოთ, რაც დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს პრეზიდენტმა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნისას გააკეთა უკეთესი ევროპისა და გერმანიის ერთიანობისთვის.

ამ თვის სავიზიტო და სახელშეკრულებო დიპლომატიით დასრულდა ევროპული პასუხისმგებლობის პოლიტიკის კიდევ ერთი ეტაპი. სწორედ რევოლუციური ცვლილებების პერიოდში იყო საჭირო ნდობის განმტკიცება და სტაბილიზაციის ხელშეწყობა.

გერმანულიდან თარგმნა
**ლევან ბრეგაძემ.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 98-108.

## უახლესი ისტორია

# ჰანს-დიტრიხ გენშერი: «მოგონებანი»




**რედაქციისაგან:**

**ამით ვამთავრებთ ნაწყვეტების ბეჭდვას გფრ-ის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს-დიტრიხ გენშერის მემუარების წიგნიდან „მოგონებანი", რომლის სრულ ქართულ თარგმანს, შესრულებულს „კავკასიური სახლის" თანამშრომელთა – ასმათ ფიცხელაურის, მიხეილ ბერომვილის და ლევან ბრეგაძის მიერ, მალე მიიღებს მკითხველი.**

**ქართული თარგმანის მომზადების ინიციატორები არიან ბატონები ლადო ჭანტურია და დიდიმ სტურუა. „მოგონებანის" ქართულად თარგმნა გადაწყდა 2000 წლის 30 მარტს, ჰანს-დიტრიხ გენშერის სტუმრობისას საქართველოს უზენაეს სასამართლოში (იმ დროს გფრ-ის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი თან ახლდა თბილისში ოფიციალურ ვიზიტად მყოფ ფედერალურ კანცლერს გერჰარდ შრიოდერს). წიგნი გამოდის შპს „იბერიატელის" და სს „საქართველოს ელექტროკავშირის" ფინანსური მხარდაჭერით.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 109, კვირა, 5 მაისი, 2002 წელი

# საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მიმართვა

## „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი ნავთობსადენისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთკავკასიური გაზსადენის სისტემის“ პროექტების ინვესტორებს, პარტნიორ ნავთობკომპანიებსა და კონტრაქტორებს

სნსკ




ძვირფასო მეგობრებო,

25 აპრილს თბილისში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ უდიდესი ფიზიკური, მატერიალური და სულიერი ზიანი მიაყენა ჩვენს ქალაქს, მის მოსახლეობას: უსახლკაროდ დარჩა ათასობით ადამიანი, რომელთა შორის არიან მარტოხელა მოხუცები, იძულებით გადაადგილებული პირები, შემწეობის გარეშე დარჩენილი ადამიანები. მრავალი ოჯახი, მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად, ავარიულ ბინებში ათევს ღამეს, ათეულობით სასწავლო თუ სამედიცინო დაწესებულება სრულიად გამოუსადეგარი გახდა ფუნქციონირებისათვის, ქვეყანა აღმოჩნდა უაღრესად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში...

ქვეყნისათვის ამ უმძიმეს წუთებში დახმარებისა და თანადგომის მზადყოფნა ერთსულოვნად გამოხატა საქართველოს მეგობარმა ყველა ქვეყანამ. ამის დასტურია აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სატელეფონო საუბარი საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან, რომლის დროსაც აშშ-ს პრეზიდენტმა მთელი ამერიკელი ხალხის სახელით მწუხარება გამოხატა მიწისძვრის შედეგების გამო და დახმარება აღუთქვა საქართველოს და მის ხალხს. ასევე თანადგომა გამოხატეს და დახმარება აღგვითქვეს ევროკავშირის ქვეყნების ხელმძღვანელებმა. საქართველოში აკრედიტებული საელჩოებისა და საერთაშორისო სტრუქტურების, კომპანიებისა და ბიზნესმენების ძალისხმევა ამჟამად ცალსახად არის მიმართული სტიქიით გამოწვეული პრობლემების სასწრაფო გადაჭრისაკენ.

სწორედ ამიტომ, თავს უფლებას ვაძლევთ მოგმართოთ თანადგომის თხოვნით, რადგან უკანასკნელ წლებში თქვენ არაერთხელ გადაგიდგამთ ასეთი ნაბიჯი საქართველოს მხარდასაჭერად.

მინდა დაგარწმუნოთ იმაშიც, რომ ჩვენს ხალხს კარგად ახსოვს 1995 წელი, როდესაც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ბატონმა ჰეიდარ ალიევმა, მიუხედავად მოსალოდნელი პოლიტიკური გართულებებისა და შესაძლო ფიზიკური განადგურებისა, მიიღო ისტორიული, შეიძლება ითქვას გმირობის ტოლფასი, გადაწყვეტილება „ბაქო-სუფსის ადრეული ნავთობსადენის“ მშენებლობისა და კასპიის ნავთობის დასავლეთის მიმართულებით ტრანსპორტირების შესახებ.

ჩვენს ხალხს ასევე კარგად ახსოვს ის სიბრძნე და სიმამაცე, რაც „ბაქო-სუფსის ადრეული ნავთობსადენის“ ინვესტორებმა და ამ პროექტში მონაწილე ნავთობკომპანიებმა გამოიჩინეს სამოქალაქო ომით დანგრეულ და გაპარტახებულ ქვეყანაში, როდესაც, მრავალმილიონიანი ინვესტიციების რისკის სანაცვლოდ, მათ მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვიერი გარანტია ჰქონდათ იმის თაობაზე, რომ „საქართველო მზად არის ასეთი მასშტაბის სტრატეგიული პროექტების განვითარებისათვის და ქართველი ხალხი ყველაფერს გააკეთებს, რათა ეს პროექტი წარმატებით განხორციელდეს“, და მიუხედავად ყველა სირთულისა და წინააღმდეგობისა, ინვესტორებმა და ნავთობკომპანიებმა უყოყმანოდ დაიწყეს ამ პროექტის განვითარება, რომლის შედეგიც დღეს ყველასათვის ნათელია: „ბაქო-სუფსის ადრეული ნავთობსადენით“, რომელიც სამ წელზე მეტია ყოველგვარი შეფერხების გარეშე ფუნქციონირებს, უკვე გადაიზიდა 20 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობი.

ჩვენს ხალხს კარგად ახსოვს ისიც, რომ „ბაქო-სუფსის“ პროექტის განვითარების დაწყებიდან დღემდე, თქვენს მიერ საქართველოს მოსახლეობის მხარდასაჭერად განხორციელდა არაერთი სასიცოცხლოდ აუცილებელი პროგრამა. მათ შორისაა ის დახმარებაც, რომელიც თქვენ აღმოუჩინეთ ნავთობსადენის მარშრუტის გასწვრივ მდებარე სოფლების სკოლებსა და საავადმყოფოებს. ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველოსათვის ამ ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში თქვენს მიერ მოსახლეობისათვის გადახდილმა მიწისა და მოსავლის კომპენსაციებმა, რომელიც ათასობით ოჯახმა მიიღო, არა მხოლოდ გადაარჩინა ადამიანები, არამედ შექმნა მნიშვნელოვანი წინაპირობა იმისა, რომ ქვეყანაში დაწყებულიყო პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციისაკენ მიმართული პროცესები. ამ პერიოდში დასაქმდა ათეულ ათასობით ადამიანი, შემოტანილი და დანერგილია ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის ესოდენ საჭირო ცოდნა და სტანდარტები.

საქართველოს მოსახლეობა უაღრესად მადლიერია ზამთრის ენერგეტიკული კრიზისის დასაძლევად თქვენს მიერ მარტოხელა და უმწეო ადამიანებისათვის 1,5 მილიონი დოლარით დახმარების გამოც. ჩვენმა მოსახლეობამ იცის, რომ თქვენ კვლავ განახორციელებთ ამგვარ დახმარებას მომავალ ზამთარშიც.

ასევე უდიდესი მადლიერების გრძნობითა და იმედით განიმსჭვალა ჩვენი საზოგადოებრიობა, როდესაც შეიტყო იმის თაობაზე, რომ „აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის“ პროექტების განვითარების ფარგლებში, თქვენს მიერ მომზადდება ამ პროექტების მოსახლეობაზე სოციალური ზემოქმედების შეფასება, ისევე, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა, რომელიც არა მარტო აღნიშნულ დერეფანში მდებარე ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების დაცვას მოიცავს, არამედ ამ დარგის ეროვნული კადრების მომზადებასა და უახლესი სამეცნიერო და ტექნოლოგიური ცოდნის დანერგვას საქართველოში.

ამავდროულად, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ თავის მხრივ, სრულიად საქართველო იმთავითვე უპრეცედენტო ერთსულოვნებით დაუდგა მხარში მილსადენების პროექტების განვითარებას და ალბათ არა მარტო საქართველოს მასშტაბით არის უნიკალური ის მოვლენა, რომ „აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის“ პროექტების - „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთკავკასიური გაზსადენის სისტემის“ კოორდინაციას პირადად ახდენს ქვეყნის პრეზიდენტი. უპრეცედენტოა ისიც, რომ მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და მრწამსისა, საქართველოს პარლამენტმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი აღნიშნული პროექტების განვითარებას და რაც ყველაზე მთავარია, ამ პროექტებს თვით საქართველოს მოსახლეობის, მისი თითოეული მოქალაქის უდიდესი მხარდაჭერა გააჩნია. ჩვენმა მოსახლეობამ სათავეშივე აღკვეთა ქვეყნის გარე თუ შინა არაკეთილმოსურნეთა არაერთი მცდელობა მილსადენების პროექტების ხელოვნური დისკრედიტაციისა და გარწმუნებთ, ასე იქნება მომავალშიც. ჩვენი ხალხი არავის მისცემს უფლებას წინ აღუდგეს ამ პროექტების წარმატებულ განვითარებას.

8 მაისს თქვენ უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიების - „საქართველოს ბიზნეს პერსპექტივები“ ჩასატარებლად ესტუმრებით თბილისს, რათა, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთკავკასიური გაზსადენის სისტემის“ პროექტების განვითარების ახალ ფაზაში შესვლასთან დაკავშირებით, დაიწყოს საქმიანი დიალოგი ქართველ კონტრაქტორებთან, აგრეთვე ქართული სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, სამეცნიერო და სხვა დარგების ხელმძღვანელებთან ამ პროექტების განვითარებაში მათი მაქსიმალური ჩართვის მიზნით.

თბილისში თქვენი ვიზიტის დროს ჩვენ საშუალება გვექნება უფრო საფუძვლიანად გაგაცნოთ მიწისძვრის შედეგად შექმნილი პრობლემები და ერთობლივად დავსახოთ მათ გადაჭრაში ჩვენი მონაწილეობის ფორმები, რადგან საქართველოსათვის, ესოდენ მძიმე გაჭირვების ჟამს, ნებისმიერი ფორმით გაწეული დახმარება მნიშვნელოვნად შეამსუბუქებდა მის მდგომარეობას, გაამხნევებდა ხალხს, რომელმაც კარგად იცის ასეთ დროს გულწრფელი თანადგომის ფასი.

საქართველოში ყველასათვის ცნობილია ჩვენი პარტნიორი ნავთობკომპანიებისა და ინვესტორების სამაგალითო პოზიცია იმის თაობაზე, რომ „თქვენ სამოცი წლით შემოდიხართ საქართველოში და უნდა გახდეთ ამ ქვეყნის საუკეთესო მოქალაქეები“. ყოველივე აქედან გამომდინარე კიდევ ერთხელ გთხოვთ დახმარებასა და თანადგომას.

გვინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენს მიერ ჩვენი ქვეყნისთვის გაწეული ყველა დახმარება იქნება საქართველოში თქვენი მოღვაწეობის საერთო სახალხო მხარდაჭერის საფუძველი და ჩვენი მოსახლეობის, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენისა“ და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთკავკასიური გაზსადენის სისტემის“ პროექტებში მონაწილე ნავთობკომპანიების, ინვესტორებისა და კონტრაქტორების ერთიანობის სიმბოლო.

გიორგი ჭანტურია,
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო
კორპორაციის პრეზიდენტი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

### 1. მედიტაცია დილის ექსპრესში

ფაზის-ქალაქისკენ სამგზადისს დილაუთენია დავიჭერ.

მიმართულება პრიორიტეტულია და შემადგენლობა პირველი ლიანდაგიდან გადის.

29 მარტია დღეს და ბილეთიც იგივე ნომრით შემხვედრია.

ხალხმრავლობაა.

წაგრძელებულ მაგიდას იმთავითვე დავისაკუთრებ. ამოვალაგებ ჩანთიდან საქართველოშემოვლილ თაბახებს საკორექტუროდ და სამუშაო განწყობილებას ვიქმნი.

ასეთი ექსპრესი ზუგდიდისკენაც გავა ორმოციოდე წუთში, მაგრამ მე ზღვის სურნელება მომნატრებია ამჯერად და ესეც რომ არა, ხვალ ქვეყნის პრეზიდენტი ჩაბრძანდება ფოთში.

სათანადო სამსახურების შეწევნობით ჯერჯერობით ვეღარაფრით ვახერხებ ბატონ ედუარდთან ბელეტრისტული ინტერვიუსთვის შეხვედრას და ასე, გარე-გარე, წვეთ-წვეთობით ვაკოწიწებ ჯვარცმული საქართველოს აღდგომისათვის აბსტრაქტული ხიდების არქიტექტორის ურთულეს პორტრეტს.

სამოცდაათიანი წლებიდან ფერადოვნდება იგი ბახმაროს გზასავით დახვეული ხაზებით. ხან აღმართია და ხანაც — დამრეცი. უცხოეთში პატივით მიღებულს შინაური ყვითელი პრესა საფრთხობელად წარმოსახავს ანიდან ჰაემდე, მაგრამ ეს ხომ აისბერგის კუმტულია სოციალური ფონით ნასაზრდოები? უმთავრესის ამოცნობა მწადია, უძი-

ულიად კაცობრიობის დედაბუდიანად გადასვლის ხატ-სიმბოლოდ.

უთვალავია გამთიშავი კედელი ადამიანის თუ საზოგადოების წიაღში: მატერიალური, ფსიქოლოგიური, რელიგიური — მეობის შენარჩუნებით გამართლებული, მაგრამ კედელი მაინც ყველგან და ყოველთვის ჩამორჩენილობის სენით ყვანთალებს და სადმე კარი თუ არ შეიბა, პრიმიტივის დონეზე მოგიწევს ხვანცალი ღლემოსწრება.

მდინარეც ერთგვარი კედელია, მაგრამ გაიდება ხიდი მომავლის შემოქმედისგან და წყალმეტობით განზიდული ნაპირები ამაყად გაიხედავენ მორეთისკენ ერთობლივად.

კედელია რელიგიური განსხვავება ერთიანი ღმერთის ნაშობი კაცობრიობისათვის და სულგრძელი აღმსარებლობის გამორიცხვით ნებისმიერ ცივილიზაციას სრული კატასტროფა ელის.

კედელია ყოველი დიდი და მცირე დაბრკოლება ამირანის ჯაჭვის მეთაურობით და შინაურული ყვითელი პრესის „გაბედული“ უმეცრებაც ბარიერისგან არარაფრით

ბით. მაგიდის მოპირდაპირე მხარეს თეთრთმიანი მანდილოსანი მოკალათებულა შვილიშვილებითურთ. გოგო-ბიჭი მადიანად ილუკმება კარაქწასმულ პურს, რომელსაც ზემოდან ჯემის თხელი ფენა დასდებია.

ყმაწვილი ჩემს გვერდით ბუღრაობდა დილიდანვე, თუმცა დიდედამ დაუცაცხანა, სავარძლების სახელურები ასწია და ბებიას სიახლოვეს იკლავს იგი ახლა ონავრულ ჟინს.

გახუნებული ჩანთების სიმრავლეა.

ბოლო ათწლეულმა კარდინალურად შეცვალა ქართველი კაცის თადარიგი. იოანე ზოსიმეს გულთმისნური სიტყვები, აი, ამ პერიოდს მიესადაგება ზედმიწევნით: **დღეი ვითარცა წელი ათასიო,** ბრძანებს ის კურთხეული, და ჩვენც, დიახაც, ამ ათ წელიწადში გავირბენთ ასი წლის სავალ თემშარას, გავირბენთ არაქათის გამოცლამდე. თანაც მსწრაფველობაში გზადაგზა გვეფანტება სამაჩაბლო, აფხაზეთი,



## ხიდები საქართველოს აღდგომისათვის

მაგრამ მთავარი მიმართულება მდინარის სიჯიუტით მიარღვევს საუკუნოვანი კედლების სიმრავლეს და ამისი დაუნახაობა დალტონისტის მეტს, რომელს მოუხერხდება ყვითელი პრესის მხარდამხარ?!

ტყემალზე ვზიარით გრამატიკული ცთომილებით და ბალს შევექცევით.

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობებისკენ ორიენტაციას ეროვნულმა მოძრაობამ დაუდო სათავე.

რუსეთის იმპერიიდან გამოღწევის ერთსულოვანმა ძალისხმევამ ვაის მიწევლები ვის შეგუყარა — თვალსა და ხელს შუა გაქრა სოციალური გარანტიები: უფასო სწავლა-განათლება, სამკურნალო მომსახურება, შედარებით მცირეშავარი საშუალო ფენა. ეროვნული სიმდიდრე ელვისებურად გადანაწილდა ორ უთანასწორო ფენაზე კოლოსალურად განსხვავებული პროპორციებით — ასეული ოჯახის ხელში მოექცა ქვეყნის უძრავ-მოძრავი ქონების მამითადი, დანარჩენი საქართველო კი შიმშილის ტრამალიდან მოგვევმუს და გვაყრის ქოქოლას მოკური თერაპიით მისავათებული.

აგორებულია საუბარი პრეზიდენტის ნათესაური კლანის ანტიეროვნულ ხასიათზე, მაგრამ ვივიწყებთ ქრესტომათიულ დებულებებს პოლიტეკონომიის ფუძემდებლებისაგან: **კაპიტალმა, ბიზნესმა, ფულმა ჩვენებურად ეროვნულობა არ იცის.** მეწარმის ხელგამლილობანი სოციალური მიმართულებით იძულებითი მომენტია გაცილებით მეტის ამოსაგებად.

მართალია, კაპიტალისტური ურთიერთობანი პიროვნული უნარის მაქსიმალური გამოვლინების უბადლო არენაა, სოციალისტური სისტემის ხელოვნური გათანაბრებებისაგან განსხვავებით, მაგრამ ისიც გამოცდილია, რომ კერძო-მესაკუთრული ჭურჭელი ვიდრე პირთამდე არ გალიპლიპდება, მისგან აღარაფრით გადმოიპკურება საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლო. პირთამდე აღვსებამდე იმ საწნახელში მბორგავი ბადაგეული სავსებით მიუწვდომელია რიგითი ადამიანებისათვის. მხოლოდ ნამეტი ჩქერალები, მხოლოდ ნამეტი ჭაელებია სოციალურ მოთხოვნილებათა ყამირების დამაწყურებელი. აი, რომელი მომენტიდან აღიძერიან ქველმოქმედებისათვის სარაჯიშვილები, ჭყონიები ოქუაშვილები თუ თოფაძენი.

ეს ერთი მხარე მედალიონისა, მაგრამ რატომ, რისთვის ენდომება კაცობრიობის მილიარდერთა სამასეულ ოჯახს ფხიზელი გონების საზოგადოება? გამჭრიახი ოპონენტი არავის ეპიტნავება. თევზის დაჭერა ხომ მღვრიე წყალშია გაცილებით მოსახერხებელი და ინაცრება კიდეც ჩვეულებრივი ხალხის ცხოვრება აღვირახსნილი სექსის პროპაგანდით, კომშარებისა და სენსაციური თემების ფრიალით; ინდივიდუალიზმის, მანიაკური მიდრეკილებების გაღვივებით პიროვნებაში; ნარკომანიისა და სოდომური ცოდვის უცხვირპირო ლეგალიზებით, რათა პლებსი უკიდურესობამდე მართული ჰყავდეს ხელისუფალს. აი, ხელოვნური კედლების წყება და ჯგრო, რომელთაც დროთა ვითარებაში მიყოლებით წააყირავებს ხოლმე ჭეშმარიტების მოსართავებით ღარახტული ხიდის ფილოსოფია.

რითადესის, სამშობლოს სახეალით ორიენტაციასთან რომაა მიბმული და ყველა ტკივილის მომუშებას გვპირდება.

გაღაიჭედება ვაგონი ჭრელაჭრულა მგზავრებით და ბიძგიც შეიგრძნობა.

მთავონებული სახეების ქარაენებია გარშემო, ონავრებს ვერ აოკებენ მხოლოდ ნევრეული შეგირეების არტახები.

სალონში ჩინებული სისუფთავეა. ბატონი აკაკი ჩხაიძის სამსახურს ახალ ყაიდაზე გადაუკეთებია რონოდა: გაკრიალებული მინები მთელია ყველგან, საბედნიეროდ, დღისით, მზისით ქვებს ვეღარ ესვრის გულის მოსაოხნავად გაწამებული ნახევარი საქართველო და გახარებს მისი უვნებლობა.

მაღალსაზურგეებიანი სავარძლები ხასხასა მაუდის ქსოვილით შეფუთნილა. მაინც ხელს აქაც მოცარვია მათი დასახიჩრება.

ვაგონის ცენტრში ორი ტელევიზორია გამოწეული მაგიდების თავსზემოთ.

დავიძრებით და აქოთქოთდებიან ისინი აქამდეც მობეზრებული ტრილერებით, ბოევიკებით თუ ვესტერნებით.

მე ჩემი ჯოჯოხეთი „სუფევა“ ლანდივით დამყვება მამულის დობე-ყორე, სადაც მომიხერხდება, ვხვეწ, ვავსებ, ვრანდავ და აჰა, სამი ათას გვერდს გადაცილებულა. ამიერიდან დაბეჯითებით ვიცი: ბოლო სადგური თუ ნავსაყუდელი დიახაც ფაზის-ქალაქია, ფოთი — სცილას და ქარიბდას შორის გათანგული სამშობლოს სწორუპოვარი კარიბჭე, ბჭისკარი ზოგადად, ტრიუმფალური თაღი.

ერთი სემანტიკისაა ეს სიტყვები, საკუთარი მეობის ერდოსთან ცივილური ურთიერთობის გარანტად აღმოცენებული სახელმწიფოებს შორის.

„რკინის ფარდა“... კედელი, ჩინურის თუ ბერლინურის ჩათვლით, ჭეშმარიტების დატყვევების უბადრუკი მცდელობაა.

სამეგრელოში იტყვიან: წყარ ნაწყარს დო მარა ნამარხიავა, ანუ გზა ნაგზაურს და წყალი ნაწყალევსო; ჰოდა, რაკი სანთელსაკმეველი თავის წავარნებს არაფრისდიდებით დაჰკარგავს, მეც ამ ეჭემიუტანელი ხალხური სიბრძნის იმედით მიუყვები დილის ექსპრესს საქართველოს მომავლის მიმართულებით.

კაცობრიობას ოდითგანვე ამუხრუჭებდა კედლის ფილოსოფია. გალავანია იგი, მანძილი თუ დრო, პერანგივით თანდაყოლილი ბარიერებია ადამიანისათვის და ხიდის შინაარსის მოუმარჯვებლად, ბიჯსაც ვერ წადგამს.

შეუნარჩუნა თითქოს ინდივიდუალობა ჩინეთს 10 ათასი ლის სიგრძის კედელმა, მაგრამ იზოლაციაში მოაქცია მრავალი ასპექტით და მხოლოდ ახლახან გაიხედა თვალში ტექნიკური პროგრესის შემწეობით. დიახაც, კომპიუტერული ინტერნეტის თუ ფიჭური ტელეფონის საოცრებებმა მიმალა ნებისმიერი ზღუდე ჩვენი პლანეტის ერთეულობაში.

ბერლინის კედელი ლამის ერთხი წელიწადი ეპირქუშებოდა იშვიათი ცხოველმყოფელობით გამორჩეული გერმანელი ერის ერთების ორმხრივ ლაგადუგს, სანამ პირწმინდად არ ჩამოიშალა საბაზრო ეკონომიკაზე სრ-

განსხვავებაა, როცა მხოლოდ მანკიერსაა გაფაციცებით მიწერებული ეროვნული ემწეობის ნორმად და ნიმუშად.

კედელია სოციალური უთანასწორობა. ღლახაკთათვის გაუცემელი საჭურჭლე თუ მონათა საბატოდ დაყოვნებული გუჯარ-ბრძანება და ვინ მოიხიკლის — რამდენი ხელოვნურად ჩაცილებული კაკანათი ჩვენდა საუბედუროდ. მაგრამ ხიდებმა აღარ იციან უკანდახევა, აღარც ყოვლისშემძლე სიმღერამ — ლილეომ, ოდოიამ თუ კრიმანჭულმა, აღარც — ნათელმა აზრმა გონებისამ, ოღეს მომავალთან სამიმოსვლოდ გაილარება.

ორიენტირი ხიდის შინაარსით ანგრევს ნებისმიერ კედელს, ქვითკირისაა იგი თუ სულაც — გონდახშულობის. სიყვარულიც ხომ გზათა შემაერთებელი ხიდის მიზანდასახულობისაა რუსთველისებურად?!

მიქრის ექსპრესი „თბილისი-ფოთი“ და აშკარად ვგრძნობ წინმხედრი კედლების მიყოლებით ჩამორღვევას ზათქით, ზრიალით.

ქრისტიანული ჯვარიც ხომ კედლის და ხიდის ერთგვარი სიმბიოზია.

ხიდია კურდა-კამგარ-ომიდან გაკვით დაძრული „დიდი აბრეშუმის გზა“, ლიან-ჩუნგ ანის რკინიგზით რომ მოსერავს დღეს ტიბეტს თუ შუა აზიის ქვიშროვანებს, გამოუქროლებს უამრავ ოაზის-ყიმლაღს, შუაზე გააპობს დედათბილისს, ჩვენს შემადგენლობას გამოეკერება და რიონის დამღოვრებული დინების მხარდამხარ, დიახაც ფაზის-ქალაქში დაასრულებს თავის დაუცხრომელ მრავალათასწლოვან მსწრაფველობას.

დაკვირვებული ვარ საქართველოს ფიზიკურ რუკას: თბილისიდან შავ ზღვამდე უმოკლესი მანძილი დასტურ ფოთთანაა და უკვე ჩემთვის ცასავით ნათელია, რისთვის ინიშნება ამ ორი ქალაქის მერები უშუალოდ პრეზიდენტის განკარგულებით. „დიდი აბრეშუმის გზა“ — თბილისი-ფოთი, ამ სანუკვარი მიმართულების გაცხადებული ფინიშია და გასაკვირი არაფერია, თუ აქ ბურჯების ჩაყრა ქვეყნის მესვეურის პროფილისაა.

მიქრის ექსპრესი „თბილისი-ფოთი“ და უნებლიეთ ერთი აზრი გამიცრიატდება გონებაში: საქართველოც კედლის და ხიდის კლასიკური ერთობლიობაა, წინაღობისა და საშუალების ჯამი, ოღონდ ისეთ სტადიაში, როცა წამომართული ზღუდე ჯერაც მძლავრობს, ჯერაც პირქუშად ასვეტებია ჩვენს საყოველთაო ბედნიერებას შემაფერხებელ ნაგებობად, ხოლო გეგმაზომიერად მშენებარე ხიდი მტკაველ და მტკაველ უფატრავს გულ-მკერდს უმეცრების აბსტრაქტულ ციტადელს. დიდია ამ მარათონულ პროცესში უნდობლობის მუხტი საზოგადოებისა, აღარც მოსეს ემადლიერებოდა მრევლი ციურ მანანათა გამო, მაგრამ ბედი ქართლისა დიდი ხანია ხელისუფალს გარდუწყვეტია.

ფიქრებში გართულს წინსაფრიანი ქალი მომჩერებია. ლამბაქზე გადაბრუნებული ფინჯნები უწყვია. ვევება თერმოსი სტარგზე შეუყენებია. საცობი სამ თითზე ამოუშერია იმ ჭურჭელს. თავს დავუქნევ თანხმობის ნიშნად და ლდაკაცოც ეგრევე კორპს კბილებით ჩააფრინდება. ჩამომსხამს სურნელოვან ყავას. უხიტყვოდ გადავილებ. ფულს არც მეკითხება. ალბათ, ჩამოვლისას გავსწორდე-

**გური ოტობაია.**
„სრ“ სპეც. კორ.
(დასასრული იქნება).



- ბომბი – სააღდგომო მოლოცვაში.
- ბანგლადეში: ჩაიძირა ბორანი.
- МИГ-21 – ბანკის ოფისში.
- სემინარი გამდიდრების მსურველთათვის.




### რუსეთი - აშშ: შეთანხმება მალე დაიდება

პრეზიდენტ ბუშის თქმით, რუსეთთან დაიდება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შეთანხმება ამ თვის ბოლომდე, როდესაც იგი მოსკოვში ჩავა. მხარეები აცხადებენ, რომ ვაშინგტონის მოლაპარაკებაზე მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული. მაგრამ, როგორც ბუშმა აღნიშნა, კიდევ დიდი მუშაობაა გასაწევი. მხარეები მზად არიან, ორი მესამედით შეამცირონ თავიანთი ბირთვული არსენალები ათი წლის განმავლობაში. ამავე დროს, ჯერჯერობით რჩება უთანხმოებანი იმასთან დაკავშირებით, თუ რა უყონ შესამცირებელ შეიარაღებას. რუსეთი მისი განადგურების მომხრეა, ხოლო აშშ-ს განზრახული აქვს, დაიტოვოს ბირთვული ქობინები, რათა გამოიყენოს ისინი საგანგებო ვითარებაში.

### ბოსტონელი კათოლიკები უარზე არიან

აშშ ბოსტონის კათოლიკური ეკლესია უარს ამბობს, გადაიხადოს კომპენსაცია – რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი მღვდელყოფილის მხრივ ბავშვებზე სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთათვის. ეპარქიის საფინანსო საბჭომ განაცხადა, რომ 86 დაზარალებულისთვის 30 მილიონი დოლარის გადახდის შედეგად ბოსტონის ეკლესია უსახსროდ დარჩება და ვეღარ დააკმაყოფილებს ახალ სარჩელებს. იანვარში მღვდელი ჯონ გოგანი ბრალეულად ცნეს ათი წლის ბიჭუნას მიმართ უხეშ ძალადობაში, და წოდება ჩამოართვეს. ეს საქმე პირველი გახდა იმ სექსუალური სკანდალების წყებაში, აშშ კათოლიკური ეკლესია რომ შეაზანზარა და ახლა სრული გაკოტრების საფრთხეს უქადის.

### გაერო: არაბთა წარმომადგენლებმა ხელი გამოიღეს

არაბული ქვეყნების წარმომადგენლები გაეროში მძაფრი კრიტიკით ესხმიან თავს ისრაელს, რომელმაც უარი თქვა გაერთიანებული ერების მისიასთან თანამშრომლობაზე ჯენინის ოპერაციის გარემოებათა დასადგენად. მათ უშიშროების საბჭოს ღია სხდომაზე განაცხადეს, რომ ეს ისრაელ ჯარისკაცთა ბრალეულობას მოწმობს. ისრაელის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა თავისი ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებას და თქვა, რომ გაეროს არ წარუდგენია ისრაელისათვის საკმარისი ინფორმაცია, თუ როგორ აპირებდა მისია გამოძიების მოწყობას.

### ბომბები წერილების ნაცვლად

ფბბ თანამშრომლები ეძებენ ბოროტმოქმედებს, რომლებმაც ბომბები ჩაუყარეს საფოსტო ყუთებში ამერიკელებს. ხუთი მცირე თვითნაკეთი ბომბი აიოვასა და ილინოისის შტატების სასოფლო რაიონებში აფეთქდა. იქვე იპოვეს ბარათები, სადაც გაკრიტიკებულია ფედერალური მთავრობა. ფედერალური გამოძიების ბიუროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აფეთქებები ტერორისტულ აქტებად არის შეფასებული. დაშავდა რამდენიმე კაცი. დაზარალებულთაგან ზოგიერთი საფოსტო მუშაკია. როგორც ბიურო იუწყება, სულ ჩადებული იყო ათამდე ასაფეთქებელი მოწყობილობა, მაგრამ სამი მათგანი არ ამოქმედებულა. ზოგიერთ რაიონში შეჩერდა ფოსტის მიტანა.

### ერაყი - გაეროს მოლაპარაკება ჩაიშალა

გაერთიანებული ერების გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა „სასარგებლო და გულახდილი“ უწოდა ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრთან ნაჯი საბრისთან მოლაპარაკებას საერთაშორისო ინსპექტორთა მუშაობის განახლების შესახებ. თუმცა ახლანდელ მოლაპარაკებაზე მხარეები ვერც ერთ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ, გაეროს მეთაურმა გამოთქვა იმედი, რომ პროგრესს მიაღწევენ მომდევნო შეხვედრაზე, რომელიც ერთი თვის შემდეგ უნდა გაიმართოს.

### ტრაგედია ბანგლადეშში

მაშველთა რაზმები სამუშაოებს ეწევიან ბანგლადეშის ჩანდპურის მიდამოებში, სამხრეთ სანაპიროსთან, სადაც ჩაიძირა ბორანი და მასთან ერთად გემზე მყოფი 400 მგზავრის უმრავლესობა. უკანასკნელი მონაცემებით, გადარჩა დაახლოებით 60 კაცი, ნაწილმა ცურვით მიაღწია ნაპირამდე, ნაწილი კი სხვა გემებმა გადაარჩინეს.

### ახალი კომპიუტერული გიგანტი

აქციონერთა პროტესტების მიუხედავად, დასრულდა ორი უდიდესი კომპიუტერული ინდუსტრიის კომპანიის – ჰიულეტ-პაკარდისა და კომპაკის შერწყმა. გარიგების საერთო თანხამ 18 მილიარდი დოლარი შეადგინა. ახალი ფირმა მსოფლიოში სიდიდით მეორე იქნება, IBM-ის შემდეგ. აშშ სასამართლომ რამდენიმე დღის წინათ უარი თქვა, დაეკმაყოფილებინა ერთ-ერთი აქციონერის – ჰიულეტ-პაკარდ კომპანიის დამფუძნებლის ვაჟის – უოლტერ ჰიულეტის სარჩელი, რომელსაც სურდა, შეეჩერებინა გარიგება.

### აშშ: ბრმებს ყალბ დოლარებს ვეღარ შეაჩეჩებენ?

ამერიკის უსინათლოთა ინტერესების დამცველთა ორგანიზაციამ სასამართლო სარჩელი აღძრა აშშ მთავრობის წინააღმდეგ. უსინათლოთა საბჭო ამტკიცებს, რომ ქვეყნის მთავრობა მხედველობით ინვალიდებს შესაძლებლობას უსპობს, მონაწილეობდნენ საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვინაიდან ისინი ვერ განსაზღვრავენ მიმოქცევაში არსებული ბანკნოტების ღირებულებას. საბჭო მთავრობას ურჩევს, შეცვალოს ბანკნოტების დიზაინი, გამოიყენოს სპეციალური, ბრაილის შრიფტი და ბრუნვაში შემოიღოს სხვადასხვა ზომის ქაღალდის ფულის ნიშნები. აშშ ხაზინამ უკვე შეცვალა ზოგიერთი ბანკნოტის გაფორმება და გეგმავს სხვა ცვლილებებსაც, რათა გაუადვილოს ფულის ცნობა ბრმებს, აგრეთვე, არ დაუშვას მათი გაყალბება.

## ავიაგამანადგურებელი ბანკს შეასკდა

სულ ცოტა ხუთი კაცი დაილუპა ინდოეთის ფანჯაბის შტატის ქალაქ ჯალანდარში, როდესაც ერთ-ერთი ოფისის შენობას შეასკდა МИГ-21 ავიაგამანადგურებელი.

რუსული წარმოების თვითმფრინავი, რომელსაც ინდური ეკიპაჟი მართავდა, ადამპურის ავიაბაზიდან გამოფრინდა და ასრულებდა დაგეგმილ საწვრთნელ ფრენას, როდესაც ძრავი მწყობრიდან გამოვიდა.

ყოველ შემთხვევაში. მომხდარის ყველაზე შესაძლო ვერსიად სწორედ გამანადგურებლის ტექნიკურ უწესივრობას მიიჩნევენ.

МИГ-21 ბანკის შენობას შეენარცხა ქალაქის ცენტრში. კატასტროფის წინ ორივე მფრინავი კატაპულტით გადმოხტა.

„მე დავინახე, როგორ ამოყირავდა რამდენჯერმე თვითმფრინავი, მერე კი ქვასავით წამოვიდა ქვევით“, — თქვა ტრაგედიის ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

ავიაკატასტროფის შედეგად ბანკის ორსართულიან შენობასა და მიმდებარე სახლებში ხანძარი გაჩნდა.

როგორც შემთხვევის ადგილიდან იუწყებიან, დაშავდა ამ დროს ბანკში მყოფი ათზე მეტი კაცი. ზოგიერთი მძიმედ არის დაჭრილი და ხელისუფალნი შიშობენ, რომ დაღუპულთა რაოდენობა შეიძლება, გაიზარდოს.

МИГ-21 ინდოეთში პირველად როდი ჩამოვარდა: უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ამ მოდელის გამანადგურებლებმა ასზე მეტი კატასტროფა განიცადეს. სპეციალისტთა აზრით, ეს არის პილოტების მოსამზადებელი ბაზის ნაკლოვანებებისა და თვითმფრინავების ცუდი ტექნიკური მომსახურების ბრალი.

სამხედრო ექსპერტები ამბობენ, რომ ინდოეთის МИГ-21-ების პარკის შესამედის მოდერნიზაციის პროგრამის ვადები არ სრულდება, სამომავლოდ სდებენ ახალი, უფრო საიმედო გამანადგურებლების შეძენის გეგმებსაც.





ინდოეთის დღევანდელი სამხედრო-საჰაერო ფლოტის ნახევარზე მეტი ყოფილ საბჭოთა კავშირშია აშენებული, დანარჩენი თვითმფრინავები კი ბრიტანეთისა და საფრანგეთისაგან იყიდეს.

## აშშ: უმუშევრობა იზრდება

უმუშევრობის დონემ შეერთებულ შტატები უკანასკნელი თვის მანძილზე 6 პროცენტამდე აიწია. ამას მოწმობს ციფრები, რომლებიც აშშ შრომის სამინისტრომ გამოაქვეყნა.

ნახტომი უფრო მკვეთრი აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. ეკონომისტთა პროგნოზი — 5,8 პროცენტი — არ გამართლდა (მარტში უმუშევრობამ 5,7 პროცენტი შეადგინა).

მაგრამ ციფრები მოწმობენ, რომ მსოფლიოს ყველაზე მძლავრი ეკონომიკა გაჯანსაღების გზის დასაწყისში იმყოფება.

შრომის სამინისტროს მონაცემებით, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმით, რომ უკვე შეიქმნა 43 ათასი ახალი სამუშაო ადგილი.

04.05-12.05 მიმდინარეობს ამირ კაკაბაძის ნამუშევრების გამოფენა.

**გალერეა "პოზი"**
ჟანტურიას ქ. 8

04.05-12.05 მიმდინარეობს ჯემალ კუხალაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა "ერთიდან ასამდე".

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
რუსთაველის გამზ. 3. ტ. 98-21-33

04.05-12.05 მიმდინარეობს საგაზაფხულო გამოფენა. წარმოდგენილია ქართველი მხატვრების სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრები.

**სალონი "ხელოვნება"**
გუდიაშვილის №1 93-28-52

04.05-12.05 მიმდინარეობს ხელოვნების ნიმუშების და საიუველირო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა.

## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
98-32-27

10.05(18.00) გრანდიოზული შოუ "ხკანი გოლუაპირო". მეგრული ზეპირსიტყვიერება და მუსიკა. საღამოს უძღვებიან: ბორის წიფურია და ნანა ფაჩუაშვილი.

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
ა. გრიბოედოვის ქ. №8

10.05 (19.00) საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. სოლისტი თამუნა შალვაშვილი (თბილისის III სამუსიკო სასწავლებლის IV კურსის მოსწავლე). პროგრამაშია ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, ლისტის, რაველის, შოპენის ნაწარმოებები.

**რკინიგზელთა კულტურის ცენ…**
ალმაშენებლის 127 ტ. 95-12-5…

08.05 (18.00) ახალგაზრდული შოუ.
10.05 (18.00) ალეკო ხომერიკის ბ… ფისი.
11.05 (13.00) ქორეოგრაფიული ანს… ბლი "კლდეკარი". სოლო კ… ცერტი.
12.05 (15.00) ქორეოგრაფთა კავ… აწყობს ლვაწლმოსილი … რეოგრაფების ხსოვნის საღა…

## კინოთეატრები

**კინოთეატრი "ამირანი"**
მის: კოსტავას 36. ტ: 99-05-42

04.05-09.05 (14.00) "მუაამედ ალი". რ… ჟისორი - მაიკლ მანი.
04.05-09.05 (17.00, 19.00, 21.00, 22… "იუბილარი". რეჟისორი - … ბატერვორდი.
ფასი 14.00 - 5 ლ…
17.00, 19.00 - 7 ლ…
21.00, 22.30 - 9 ლ…

**კინოთეატრი "რუსთაველი"**
რუსთაველის გამ. №5 ტელ: 99-7…

04.05-09.05(17.00, 21.00) „ადამიანი ოპ…
04.05-09.05(15.00,19.00) „შიშის ოთ…
ფასი 5-7 ლ…

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა

## კრიმინალი

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ და შს სამინისტროს ერთობლივ ძალისხმევას სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში მოთარეშე საქონლის ქურდების ორი დიდი „კორპორაციის“ გამოვლენა და დაკავება მოჰყვა. ამის შესახებ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან ჩვენი საკუთარი კორესპონდენტის იოსებ გობეჩიას მოკლე ინფორმაციით. ახლა უფრო ვრცლად.**

**ბოლო წლებში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით, გურიასა და სამეგრელოში საქონლის ქურდებმა, როგორც იტყვიან, სული ამოხადეს სოფლის მოსახლეობას. ამ რეგიონში ოჯახების დიდი ნაწილის თავის რჩენის ერთადერთი წყარო მესაქონლეობაა, კრიმინალთა და მათი ხელშემწყობების წყალობით ულუკმაპუროდ დარჩენილი ხალხი, ბუნებრივია, შველას ითხოვს, სერიოზულ პრეტენზიებს უყენებს სამართალდამცველებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს.**

**ამის თაობაზე რამდენიმე კრიტიკული წერილი გამოაქვეყნა „საქართველოს რესპუბლიკამ“. შს სამინისტრომიც ხშირად მოდიოდა საქონლის ქურდობით შეწუხებული და აღშფოთებული ადამიანების წერილები. ბატონმა კობა ნარჩემაშვილმა პირად კონტროლზე აიყვანა ეს მწვავე პრობლემა. სამინისტრომი შემუშავდა საქონლის ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალურად გაუმჯობესების კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა, რომლის განხორციელებას უკვე შეუდგნენ პოლიციის ოპერატიული სამსახურები. ერთ-ერთი ასეთი ოპერაცია, კოდური სახელწოდებით „ნიკორა“, 27-30 აპრილს განხორციელდა სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის რეგიონებში.**

27 აპრილს ღამის 3 საათზე ქურდების ჯგუფი შეიპარა სენაკის რაიონის სოფელ ხორშაში მცხოვრებ რონ ფაზულიას ეზოში და გაიტაცა 14 ძროხა, ერთი საათის შემდეგ იგივე ქურდები ამავე სოფელში მცხოვრებ თამილა კანკავას ეზოს მიადგნენ, იქიდანაც 6 ძროხა გამოიყვანეს. მოპარული საქონელი სოფლის ტყეში შეიყვანეს...

# ოპერაცია «ნიკორა»

შს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამართველოს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ამავე მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა პირუტყვის ქურდები ალყაში მოაქციეს და რამდენიმე წუთში დააკავეს სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში მოქმედი, ორგანიზებული შეიარაღებული დაჯგუფების ლიდერები და აქტიური წევრები, მარტვილის რაიონის სოფელ ხუნწში მცხოვრები, ოთხჯერ ნასამართლევი (მათ შორის, ძროხებისა და ცხენების ქურდობისათვის) ემზარ ძიძიგური (მეტსახელად „კობრა“), მარტვილის რაიონის სოფელ გალერში მცხოვრები, ოთხჯერ ნასამართლევი (ოთხივეჯერ საქონლის ქურდობისათვის), 2001 წელს ვადამდე გათავისუფლებული ავთანდილ ჯოჯუა, მეტსახელად „სტარიკა“ (იგი 66 წლისაა, მაგრამ ისეთი ფეხმარდია, დაკავებისას მხოლოდ იგი შეძლეს გაქცევას და სპეცდანიშნულების რაზმის ბიჭებს, კარგა ხანს მოუხდათ მისი დევნა), სენაკის რაიონის სოფელ ახალსოფელში მცხოვრები, ყაჩაღობისათვის ნასამართლევი, 2001 წლის 29 დეკემბერს ვადამდე გათავისუფლებული ვაჟა კვაშილავა და ოსიკო, იგივე ლერი ჯოჯუა. ამ უკანასკნელს აღმოაჩნდა კუსტარულად დამზადებული ე. წ. „აგმიჩკა“, რომლის საშუალებითაც აღებდნენ ბოსლების დაკეტილ კარებს. მასვე ჩამოერთვა დანები, თოკი და ღვედი.

ახალსოფელში ვაჟა კვაშილავას სახლში აღმოაჩინეს 3 მოპარული ცხენი. სხვათა შორის, სწორედ კვაშილავას ბინაში დაიგეგმა სოფელ ხორშაში მცხოვრებ რონ ფაზულიას, თამილა კანკავას და ამავე სოფლის კიდევ ერთი მცხოვრების საქონლის ქურდობა. ბოლო ქურდობა ვერ მოახერხეს იმის გამო, რომ გახშირებული ქურდობით შეშინებულ გლეხს ბოსელში ეძინა.

ხორშის ტყეში საქონლის ქურდების აყვანა კრიმინალებისათვის იყო მოულოდნელი, თორემ ეს ოპერაცია შს სამინისტრომი წინასწარ იყო დაგეგმილი შს მინისტრის პირველი მოადგილის ზურაბ ჩხაიძის ხელმძღვანელობით. მის პრაქტიკულად განხორციელებაში კი პირადად მონაწილეობდნენ შს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ჯემალ გაბელია, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი ფრიდონ კეკებაშვილი, განყოფილებათა უფროსები ალეკო თალაკვაძე, გია გაბაღუა, განყოფილების უფროსის მოადგილე თამაზ აბასოვი, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი ელგუჯა ჯამბურია და მისი მოადგილე თამაზ ალანია.

ოპერაციის ჩატარების წინ ოპერატიული ჯგუფის წევრებს კონსულტაციები ჰქონდათ შს მინისტრის მოადგილესთან ზურაბ ხაჟალიასთან და საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ირაკლი განუგრავასთან. ცნობილია, რომ საქონლის ქურდობა ერთ-ერთი ყველაზე ძნელად გასახსნელი დანაშულია და ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელებისას პროცესუალური და სხვა ნორმებიდან თუნდაც მცირედი გადახვევის შემთხვევაში წყალში იყრება სამართალდამცველის მიერ გაწეული შრომა, დამნაშავე კი ხელუხლებელი რჩება.

უფრო მეტიც, სწორედ „ოპერატიული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი მუხლის ეფექტიანად გამოყენების წყალობით მოხერხდა 27 აპრილს დაკავებული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების ვინაობის, კვაშილავას ბინაში დანაშაულის დაგეგმვის, მისი შესრულების დროის, კრიმინალთა თავდასხმის ობიექტების, ნაქურდალის გადაყვანის მარშრუტის დადგენა. სწორედ ამ ინფორმაციის რეალიზაციის წყალობით მოხდა ხორშის ტყეში კრიმინალებისათვის ხაფანგის დაგება და უმტკივნეულოდ აყვანა.

30 აპრილს სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მეორე ოპერაცია განახორციელეს, ამ ოპერატიულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სენაკის, აბაშის, ლანჩხუთისა და სამტრედიის პოლიციის თანამშრომლებიც. საინტერესოა ამ ოპერაციის წინაისტორია.

4 იანვარს აბაშის რაიონის სოფელ ნორიოში მცხოვრებ კარლო გვაზავას ლანჩხუთის რაიონის სოფელ წყალწმინდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფერმიდან ბოროტმოქმედებმა მოიპარეს 13 სული კამეჩი და 2 ცხენი. სამტრედიის პოლიციამ მალე დააკავა ამ დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი, სოფელ დაფნარში მცხოვრები გურამ კუტალაძე და მისი სამი თანამზრახველი. ნაქურდალი პატრონს დაუბრუნდა, მაგრამ ქურდები პატიმრობას გადაურჩნენ, რადგან ლანჩხუთის რაიონის სასამართლომ მათ აღმკვეთ ღონისძიებად მხოლოდ პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდა.

გავიდა ცოტა ხანი და 26 იანვარს იმავე ფერმიდან გაიტაცეს კარლო გვაზავას კუთვნილი 26 კამეჩი, მათ შორის, 12 მაკე იყო, მალე ზაქები უნდა მოეგოთ. დანაშაული კარგა ხანს გაუხსნელი რჩებოდა. დაზარალებულს სხვადასხვა ინსტანციაში ჩივილის გარდა, არაფერი დარჩენოდა. მან დახმარებისა და გადამჭრელი ზომების მიღებისათვის მიმართა სამინისტროსაც.

30 აპრილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიციამ განახორციელა ოპერაცია და დააკავა საქონლის ქურდების მეორე დიდი ორგანიზებული დაჯგუფების წევრები: აბაშის რაიონის სოფელ ზანათში მცხოვრები მილდას ჩაგანავა (მეტსახელად „ბუთა“), მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში მცხოვრები გია რურუა (მეტსახელად „[illegible]“), რომელსაც 1996 წელს 4 ძროხის ქურდობისათვის 3 წლის პატიმრობა მიესაჯა, მაგრამ 1998 წელს შეწყალებით გათავისუფლდა, სოფელ ზანათის მცხოვრები ზაალ მიმინოშვილი, ამავე სოფლის მცხოვრები გურჯი ნოდია და სამტრედიის რაიონის სოფელ ჭაგანის მცხოვრები დავით ფოცხვერია, მეტსახელად „ბელუგიჩი“.

გაირკვა, რომ ქურდებმა 26 იანვარს კარლო გვაზავას ფერმიდან გატაცებული 26 კამეჩი მიიყვანეს თავიანთ თანამზრახველთან – სამტრედიის რაიონის სოფელ ჭაგანში მცხოვრებ შოთა ფოცხვერიასთან (მეტსახელად „ბელუგა“). პირუტყვი მის კარმიდამოში უნდა დაეკლათ და გასაყიდად თბილისში წაეღოთ, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა: თებერვლის პირველ რიცხვებში სხვა დანაშულის – სოფლისა და ოჯახის ღირსების შემლახავი საქციელის ჩადენისათვის მეზობელმა შოთა ფოცხვერია მოკლა.

მისი დაკრძალვიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქურდებმა „ბელუგას“ ვაჟს (შოთა ფოცხვერიას, მეტსახელად „ბელუგიჩს“) მიაკითხეს: მამაშენი ჩვენი მეწილე იყო, ახლა შენ იქნები მეწილე, თქვენს ოჯახში მოყვანილი საქონელი უნდა დავკლათ და ხორცი გავყიდოთ. ასეც მოიქცნენ: 26 კამეჩი და სხვისგან მოპარული კიდევ ორი ცხენი დაკლეს. ხორცი გასაყიდად თბილისში წაიღო ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა მერაბ ძაძამიამ, რომელიც სხვათა შორის, დაზარალებულ კარლო გვაზავას ნათესავია (მერაბ ძაძამია ჯერჯერობით იმალება). კრიმინალები ცხენის ხორცს შედარებით „შეღავათიან“ ფასებში აბარებდნენ ე. წ. „მეკალბასეებს“, რომლებიც საქონლის ხორცში ურევდნენ და ამზადებდნენ ძეხვსა და სოსისს.

პოლიციამ აღმოაჩინა ფოცხვერიების ეზოში ჩაფლული დაკლული კამეჩების თავები, ტყავები და ჯერ კიდევ დაუბადებელი ზაქების გვამები.

ორი დანაშაულებრივი ჯგუფი დაკავებულია, მაგრამ შს სამინისტრო არ აპირებს ამ საქმეზე წერტილის დასმას: აუცილებლად დადგება პოლიციის იმ თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვისი დანაშაულებრივი უგულისყურობით თუ ხელშეწყობით დიდი ხნის მანძილზე დაუსჯელად თარეშობდნენ მრავალკაციანი დანაშაულებრივი ჯგუფები, პასუხი მოეთხოვებათ ადგილობრივი ადმინისტრაციის იმ წარმომადგენლებსაც, რომლებიც ქურდებს აძლევდნენ ბეჭედდასმულ ყალბ ცნობებს, მათ მიერ ვითომდა მოსახლეობიდან პირუტყვის შეძენის შესახებ.

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

**ასე მთავრდება ბოროტება, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა არა. „საქართველოს რესპუბლიკაში“ კვლავ მოდის წერილები იმის თაობაზე, რომ სენაკის რაიონის სოფელ ნოსირში თავისუფლად დადიან საქონლის ქურდები (მათ ამსოფლელ ილუმა კორძაიას ორიოდ თვის წინათ 14 სული კამეჩი და ძროხა მოპარეს, გაიტაცეს მისი თანასოფლელების პირუტყვიც.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ დაამტკიცა, რომ ძალი შესწევს ქადილისა ამ პრობლემის გადაწყვეტაში და ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.**

**რედ.**

# განცხადება

სააქციო საზოგადოება „კასპიცემენტის“ დირექცია იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერებს სააქციო საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 25 მაისს 12 საათზე ქ. კასპში ფარნავაზის ქუჩა №2-ში

**დღის წესრიგი:**

1. 2001 წლის წლიური ანგარიში:
ა) წლიური ანგარიშის წარმოდგენა გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად.
2. გენერალური დირექტორის ანგარიშის დამტკიცება.
3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.
4. 2001 წლის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი, შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ.
5. შიფერის წარმოების და თბომეურნეობის, როგორც არარენტაბელური ობიექტების ლიკვიდაციის შესახებ.
6. მშენებარე 750-ადგილიანი საყოფაცხოვრებო კორპუსის, ცემენტის სილოსის საწყობის რეკონსტრუქცია-გაფართოების და ცემენტის სილოსებთან მისასვლელი სარკინიგზო ხაზის ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ.
7. 2002 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწერილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სააქციო საზოგადოების დირექციაში.

აქციონერების მოთხოვნები დღის წესრიგის საკითხად შეიტანება, თუ ისინი შესაბამისი განცხადებით მიმართავენ დირექციას 2002 წლის 15 მაისამდე.

**სს „კასპიცემენტის“ დირექტორატი.**

## ჭიდაობა



## სამნი – კვარცხლბეკზე

ორი „ვერცხლი“ და ერთი „ბრინჯაო“ – ასეთია ქართველ ფალავანთა ნადავლი ბაქოში გუშინ დასრულებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე.

ჩვენი გუნდის ლიდერი, ოლიმპიური თამაშების ორგზის მესამე პრიზიორი **ელდარ კურტანიძე** (96 კგ) ფინალურ შეხვედრაში რუსეთის წარმომადგენელთან, მსოფლიოს ჩემპიონ კურმაგომედ კურმაგომედოვთან დამარცხდა, ასეთი მაღალი რანგის ასპარეზობის დებიუტანტმა, მძიმეწონოსანმა **დავით ოთიაშვილმა** კი გადამწყვეტი ორთაბრძოლა ასევე რუსეთის ნაკრების წევრთან, ოლიმპიურ ჩემპიონ დავით მუსულბესთან წააგო.

ქართულ დელეგაციას კიდევ ერთი ჯილდო **რევაზ მინდორაშვილმა** (84 კგ) მოუტანა, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა.

## ფეხბურთი

# სათასო კანონებით

ფეხბურთელთა ეროვნული თასის გათამაშების ფინალში ზედიზედ მესამედ გავიდნენ ქუთაისის „ტორპედო“ და თბილისის „ლოკომოტივი“. შეგახსენებთ, რომ განვლილ წლებში მეტოქეებმა თითოჯერ სძლიეს ერთმანეთს, თანაც ორივემ – პენალტების სერიაში. გადამწყვეტ მატჩს 26 მაისს, ტრადიციისამებრ, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი უმასპინძლებს. ახლა კი მოკლედ საპასუხო ნახევარფინალური რაუნდის შესახებ:



**„ვიტ ჯორჯია“ – „ტორპედო“ 1:0**
(პირველი შეხვედრა 0:1, პენალტებით – 3:4)

ფაქტია, რომ ამ ბოლო დროს ქვეყნის ორგზის ჩემპიონთა მექანიზმში რაღაც მოიშალა – გუნდმა ზედიზედ მესამედ დათმო პრინციპული თამაში ერთნაირი მშრალი ანგარიშით – 0:1 (ამჯერად – თასზე). ამის მიუხედავად, რევაზ ძოძუაშვილის შეგირდებმა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულს მიღმა დაუმსახურებლად დარჩენილ ვეტერინარებს მაინც გადაუკეტეს გზა ევროტურნირისაკენ, რაც, უპირველესად, ძირითად შემადგენლობაში ახლახან დამკვიდრებული მეკარის სტურუას ძალისხმევით მოახერხეს. ვიტმა ჯერ შესვენებამდე იხსნა პარტნიორები ორჯერ, როცა დიღმელაშვილისა და ადამიას სახიფათო დარტყმები მოიგერია, შემდეგ უკვე მეორე ტაიმში 0:1-ზე შემლო წუწუნავას ურთულესი თავის აღება, ყველაფერი კი საფეხბურთო ლატარიაში დააგვირგვინა დიღმელაშვილისა და მელქაძის თერთმეტმეტრიანების მოგერიებით. რაც შეეხება ანგარიშს, იგი მე-60 წუთზე გველესიანის ზუსტი გადაცემით გოჩაშვილმა გახსნა, არადა, ამ ეპიზოდამდე ორიოდე წუთით ადრე ქუთათურმა მცველმა მახვილაძემ კობიაშვილის ხელით თამაშისთვის დანიშნული პენალტიდან მოახვედრა ბურთი ჭურაძის კარის ძელს.

აქვე გაუწყებთ, რომ პენალტების სერიაში სტუმართაგან მხოლოდ თოდუას უმტყუნა ნერვებმა – მან ბურთი საერთოდ ააცილა მიზანს.

**„დინამო“ – „ლოკომოტივი“ 0:0 (0:1)**

თბილისურ დერბის რკინიგზელები დისკვალიფიცირებული ლომაიასა და ჯანაშიას გარეშე შეხვდნენ, თუმცა მაინც შეინარჩუნეს პირველ მატჩში მიღწეული მინიმალური უპირატესობა და გაინაღდეს ერთ-ერთი ევროტურნირის საგზური. სხვათა შორის, მათ არც გასჭირვებიათ დინამოელთა ქაოტური იერიშების მოგერიება, რაც უკანა ხაზისა და ახალგაზრდა მეკარე ივარდავას საიმედო თამაშის შედეგია. მეტოქის კართან ანჩაბაძის, დარასელიას, მიქაძისა და კარლოსის მიერ შექმნილი რამდენიმე სახიფათო მომენტი რევანშის ასაღებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

**გია პლატონიშვილი.**
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ჭადრაკი

# ვაჟებშიც გამორჩეული



თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის პირველობა, რომელიც იმავდროულად შესარჩევი ტურნირიც იყო. უმაღლესი ეშელონის ხუთი საგზურისთვის 30 ვაჟი და 8 გოგონა ეცილებოდა ერთმანეთს. ასპარეზობის ბოლო ტურის წინ ნათელი გახდა, რომ პირველობას ვერავინ შეეცილებოდა თელაველ საერთაშორისო ოსტატ ანა მათნაძეს, რომელსაც 8 შესაძლებლიდან 7,5 ქულა ჰქონდა (მე-2 ტურში იგი თამაზ მგელაძეს დაუზავდა). ბოლო შეხვედრა, მართალია, მან დავით შენგელიასთან წააგო, მაგრამ ქულით მაინც გაუსწრო უახლოეს მდევრებს.

საგულისხმოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტ ანა მათნაძისათვის წლევანდელი სეზონი იღბლიანად დაიწყო. ჯერ თბილისის მერიის თასის გათამაშებაში მეორე ადგილი დაიკავა, მერე საქართველოს უნივერსიადაზე აჯობა ყველას, ამას წინათ კი ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში დიდოსტატ მაია ლომინეიშვილთან ერთად I-II ადგილები გაიყო (კოეფიციენტით ვერცხლის მედალი ხვდა). სხვადასხვა ასაკში ორგზის მსოფლიო და ხუთგზის ევროპის ჩემპიონი, რომელსაც ქალთა შორის დიდოსტატის ნორმატივი შესრულებული აქვს და ამ წლებას ფიდეს უახლოეს კონგრესზე მიანიჭებენ. 19 მაისიდან საქართველოს ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზებს დანარჩენ 13 მონაწილესთან ერთად, რომლებიც წრიული სისტემით იბრძოლებენ მედლებისათვის. ამ შეჯიბრების საგზური მოიპოვა დავით შენგელიამაც – იგი 6 ქულით მე-5 ადგილზე გავიდა. მეორე-მესამე ადგილები 6.5-6.5 ქულით ლევან ფანცულაიამ და მერაბ გაგუნაშვილმა გაიყვეს. ბოლო ტურში მათი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ასევე დაზავდნენ ლევან აროშიძე და თამაზ მგელაძე, რაც ხელსაყრელი აღმოჩნდა მგელაძისათვის, რადგან მან საბოლოოდ 6 ქულა მოაგროვა და მე-4 ადგილი დაიკავა, თან ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც მიიღო.

მართალია, 6-6 ქულა მოაგროვეს ვალერი გაფრინდაშვილმა (ბოლო ტურში მიხეილ ქანთარიას სძლია) და ოთარ ჯირკვალიშვილმა (სოფიკო გვეტაძე დაამარცხა), მაგრამ მათ უარესი კოეფიციენტით, შესაბამისად, მეექვსე-მეშვიდე ადგილები გაინაწილეს.

**ვაჟა დანელია.**
სურათზე: ანა მათნაძე.
ავტორის ფოტო.

## ჩოგბურთი



# სტუმრად – დინამოელებთან

საჩოგბურთო კლუბ „დინამოს“ ღია პირველობაში თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და რუსთავის 120-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა ერთეულთა თანრიგის ცხრა ასაკობრივ ჯგუფში (1986-1994 წლებში დაბადებულნი). პირველი ადგილები დაიკავეს დედაქალაქელებმა – თაკო კომახიძემ (საჩოგბურთო კლუბი „გეიმი-90“), ნინო მებუკემ, ეკა გორგოძემ, ანი ხვედელიძემ (ყველა – ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემია), ნინო კალმახიძემ, ბიძინა ამამუკელმა, ნიკა ქურდაძემ, გიორგი ჭანტურიამ (ყველა – „დინამო“) და შოთა ფარღალავამ („მართვე“).

მოგებისთვის სწრაფვის პრიზი გადაეცა 13 წლის თბილისელ გიორგი ხრიკაძეს („დინამო“), რომელიც 16-წლიანებში ასპარეზობდა.

**გარი ამირხანოვი.**
სურათზე: გიორგი ხრიკაძე.
რობერტ ბაზოიანის ფოტო.

## ფიფა

# ბლატერი ბრალდებებს უარყოფს

ფიფას გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენ-რუფინენმა მოუწოდა, გამოიძიონ ორგანიზაციაში კორუფციის შესაძლო შემთხვევები. მან **ფიფას** აღმასკომის არაოფიციალურ სხდომას წარუდგინა 30-გვერდიანი ანგარიში, სადაც დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ყველა სავარაუდო დარღვევა, მათ შორის კორუფცია. ანგარიშში, აგრეთვე, გამოთქმულია ვარაუდი, რომ გამოძიებამ ხელი უნდა მოჰკიდოს თვით ორგანიზაციის პრეზიდენტის ზეპ ბლატერის საქმეთა შესწავლას. ბლატერმა ერთი კვირის განმავლობაში პასუხი უნდა გასცეს ყველა კითხვას, მაგრამ იგი ყოველთვის გადაჭრით უარყოფდა ყოველგვარ დარღვევას. ბლატერი ამბობს, რომ მტრები ცდილობენ, ჩირქი მოსცხონ, რათა არ დაუშვან მისი ხელახალი არჩევა პრეზიდენტის პოსტზე.

## ცინცხალი ამბები

ციურიხში, ფიფას აღმასკომის მორიგმა რიგგარეშე სესიამ არ დააკმაყოფილა შვიდი არაბული ქვეყნის მოთხოვნა ფიფას რიგებიდან ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის გარიცხვის შესახებ.

არაბული ქვეყნების საფეხბურთო ორგანიზაციები თავიანთი წინადადების მოტივად ასახელებენ იმ საფრთხეს, რომელიც ემუქრება პალესტინის ფეხბურთის ფედერაციას ისრაელის ჯარების მხრიდან მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე.



დღეს საფრანგეთში გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობს „ეროვნული ფრონტის“ ლიდერი ჟან-მარი ლე პენი.

იმის გამო, რომ ამ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებში საკმაოდ ბევრია აფრიკიდან ემიგრირებულის შთამომავალი, ლე პენის გამარჯვების შემთხვევაში შესაძლოა ფეხბურთელებმა უარი განაცხადონ კორეა-იაპონიაში გამგზავრებაზე. თავის „აფრიკელ“ თანაგუნდელებს მხარს უჭერს ერთ-ერთი „ნამდვილი ფრანგი“ ემანუელ პეტიც.



თავისი არსებობის ისტორიაში სენეგალის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელსაც წვრთნის ფრანგი ბრუნო მეტსუ, პირველად მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატზე. ბედის ირონიით იგი პირველ მატჩში შეხვდება თავის თანამემამულეებს. ფოტოზე აღბეჭდილი არიან სენეგალელთა თავკაცი და მისი მოწინააღმდეგე, ფრანგების მწვრთნელი როჟე ლემერი (მარჯვნივ).

## ყოველი მხრიდან

### ოფიციალური ბუკლეტი

კორეის დედაქალაქში წარმოადგინეს მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური ბუკლეტი, რომელსაც მსოფლიოს 60 ქვეყანაში 30 ენაზე გამოსცემენ. მისი საერთო ტირაჟი სამ მილიონს აღემატება.



### პრეზიდენტის არჩევნები და მსოფლიო ჩემპიონატი?

ბევრი ფრანგი ფეხბურთელი აპირებს, ბოიკოტი გამოუცხადოს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს, თუ დღეს საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნებზე გაიმარჯვებს ნაციონალისტი ჟან-მარი ლე პენი. მოვლენების ასეთი განვითარება აშინებს ლონდონის „არსენალისა“ და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელს რობერ პირესს.

„ჩვენ არ გვინდა, რომ ასე მოხდეს, – განაცხადა მან, – მაგრამ თუ ულტრა-მემარჯვენეები მოვლენ ხელისუფლებაში, მაშინ რამდენიმე ფეხბურთელი უარს იტყვის ჩემპიონატში მონაწილეობაზე. ჩვენ ყველანი ფრანგები ვართ, მაგრამ ჩვენს გუნდში არიან მოთამაშეები უცხოური ფესვებით. ლე პენის გამარჯვება არჩევნებში შეუძლებელს გახდის თავიანთი ქვეყნისათვის მათ გამოსვლას“.

თვით პირესი ტრავმის გამო ვერ წავა იაპონიასა და კორეაში. საფრანგეთის ნაკრებში, რომელიც 1998 წელს თავისსავე სამშობლოში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, უცხოურფესვებიანი 8 ფეხბურთელი თამაშობდა.

### სიმბოლური ნაკრები

სპორტული გამოცემების ევროპის ასოციაციამ (ESM) შეადგინა კონტინენტის სიმბოლური ნაკრები ფეხბურთში აპრილში ეროვნული ჩემპიონატების შედეგების მიხედვით.

11 საუკეთესოთა შორის მოხვდნენ: სიმენი („არსენალი“ – 262), კორდობა („ინტერი“ – 3), ლუსიუ („ბაიერი“ – 5), რობერტო კარლოსი („რეალი“ – 4), ლიუნგბერგი („არსენალი“ – 4), ბალაკი („ბაიერი“ – 7), ბარახა („ვალენსია“ – 4), ზიდანი („რეალი“ – 6), ტრეზეგე („იუვენტუსი“ – 4), რონალდო („ინტერი“ – 5), სავიოლა („ბარსელონა“ – 3).

### რეკორდი ოკეანეში

ღედამიწის გარშემო საოკეანო რბოლის **Volvo Ocear Race** ორგანიზატორები იტყობინებიან, რომ შეჯიბრების მე-6 ეტაპზე – მაიამი-ბალტიმორი – დამყარდა სადღეღამისო რეკორდი ერთკორპუსიანი ხომალდებისათვის. იალქნიანმა **ILLBRUCK**-მა, რომლის შკიპერია ჯონ კოსტეცკი, 24 საათში გასცურა 473 საზღვაო მილი, რაც შეესაბამება 19,708 კვანძის საშუალო სიჩქარეს. აღრინდელი რეკორდი – 467,7 მილი – ეკუთვნის ბერნარ შტამს, რომელიც მან ატლანტიკის ტრავერსის რეკორდის დამხობის ცდისას დაამყარა...

დღეს სტარტს აიღებს რბოლის მე-7 ეტაპი. მისი სიგრძეა 3400 საზღვაო მილი.



**სპორტის რედაქცია**

## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## ხტომას დაფასება უნდა

სპორტის მთელ რიგ სახეობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპორტსმენის ხტომის უნარს. გთავაზობთ ნახტომის გასაძლიერებელ ვარჯიშებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტურ კლუბ „ამირანის“ წევრთა შესრულებით.

ახტომის სიმაღლის გასაზრდელად აუცილებელია წვივის კუნთების გავარჯიშება, რაც ძირითადად ფეხის წვერებზე გადასვლით ხორციელდება.

**1. ფეხების გამართვა სხვადასხვა ტიპის ტრენაჟორზე ფეხის წვერებზე გადასვლით (სურ. 1,2).** თითოეულ ვარჯიშს ეთმობა 4-4 მისვლა 10-10 გამეორებით.

**2. ფეხის წვერებზე გადასვლა ტრენაჟორში ჩამაგრებული შტანგით ზურგზე (სურ. 3).** სრულდება 4 მისვლა 8-8 გამეორებით.

**3. ამაღლებული ფიცარნაგიდან ფეხის წვერებზე გადასვლა შტანგით ზურგზე (სურ. 4).** სრულდება 4 მისვლა 10-10 გამეორებით.

**4. ახტომები შტანგით ზურგზე (სურ. 5).** სრულდება 4-5 მისვლა 12-12 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**
ნაზი გოგიშვილის ფოტო.


1


2


3


4


5

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ზუგდიდის რაიონის სოფელ ყულისკარი – უჩამონას მკვიდრი კეტევა როგავა ოჯახთან ერთად. მარცხნიდან მეორე დგას, ცნობილი სახალხო მკურნალი ლიდია როგავა-ჯგუშიასი. 1913 წელი.

ფოტო მოგვაწოდა მამუკა ჯგუშიამ.

სიკეთე

# არდავიწყება მოყვრისა...

თანადგომა

მარშან ამ დროს ზურაბ ანჯაფარიძის ფონდის თაოსნობით მომზადდა და გამოვიდა გაზეთი „თანადგომა", რომელმაც იმთავითვე უკეთილშობილესი მისია იკისრა – მხარში დადგომოდა შეჭირვებულ საზოგადოებას, უპირველესად ჭირისუფლებს, გაეზიარებინა მათი მწუხარება, მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მართლმადიდებლურ წეს-ჩვეულებათა და რიტუალთა აღსრულების საკითხებისათვის, დაებეჭდა ნეკროლოგები, სამგლოვიარო განცხადებები...

ერთი წელიწადი გავიდა და „თანადგომა" – გამომცემლის – ანზორ ბაბუხადიასა და რედაქტორის – ლევან ბაბუხადიას დიდი გარჯის ფასად – პირნათლად ასრულებს თავის მისიას.

გაზეთმა თავისი ნომრები მიუძღვნა ჩვენი ქვეყნის ღირსეული ადამიანების – ზურაბ ანჯაფარიძის, ჯანსუღ ღვინჯილიას, თამარ ლაშქარაშვილის, ირაკლი უჩანეიშვილის, დავით ჩხიკვიშვილის, გიორგი ანდრონიკაშვილის, მამია მეგრელიშვილის, დავით ძნელაძის, გივი ჭანუყვაძის, ნუგზარ საჯაიას, გივი კარტოზიას ხსოვნას, დაბეჭდა გამოსათხოვარი წერილები, მოგონებები...

ამ უჩვეულო გაზეთის გამომცემლებს სჯერათ, რომ მხოლოდ ურთიერთთანადგომა გადაარჩენს ადამიანებს, ძვირფასი სახელების არდავიწყება სინათლითა და იმედით აავსებს ჩვენს სულებს.

სანთელი

# დაიწყო სულის მგზავრობა

ამირან ასანიძის ხსოვნას

დაიწყო სულის მგზავრობა,
სხეული მიწით შერაგვეს.
არ აქვსო სულს
მახსოვრობა,
ვერ იხსენებსო ვერაფერს!

ვაი, თუ მართლა ისეა
და, რაც სულ უნდა მახსოვდეს,
ვაი, თუ ვერ გავიხსენე
შენი ცა ვეღარასოდეს!

ვაი, თუ მართლა დამშორდა
ხსოვნის მზე, ბნელის მრიყავი
და დამავიწყდა, სამშობლოვ,
რომ შენი შვილი ვიყავი!

სულს დავიწყების ბალახი
თუ მოედება სასჯელად,
მაშინ ხომ მართლა არა ღირს
ამ ქვეყანაზე გაჩენა!

ქარს სადაც მიაქვს ფოთლები,
მეც იქ წავიღებ სტრიქონებს...
შენ ბევრჯერ მოგაგონდები...
ნუთუ მე ვერ მოგიგონებ!

ბათუ დანელია.

ძეგლი

# ბედია

ბედია – ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი აფხაზეთში (ოჩამჩირის რაიონში), მდინარე ოხოჯეს ნაპირას მდებარეობს. სამონასტრო კომპლექსის ცენტრში ტაძარია გადარჩენილი ორნამენტული გაფორმებით. იგი X-XI საუკუნეების მიჯნაზეა აგებული, ახლანდელი ნაგებობა კი – XIII ან XIV საუკუნისაა. ტაძარი გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედია, სამი შესასვლელითა და ვიწრო გვერდის ნაგებით. აღმოსავლეთ ფასადზე ორი მცირე ნიშია. ფასადები კარგად გათლილი ქვებითაა ნაგები. კედლებზე შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. აქ გამოსახული არიან ქტიტორი – საქართველოს მეფე ბაგრატ მესამე და დადიანთა გვარის წარმომადგენლები. აქვეა XIV საუკუნის სამრეკლოც. მონასტრის დასავლეთ მხარეს საკმაოდ დიდი სასახლეა.

თამაზ ძიძავა.
ავტორის ფოტო.



მოგონებების ბუხართან

# საქართველოს პრეზიდენტის მამა



განსაკუთრებით გაზაფხულზე მოეძალება ხოლმე მოგონებები სულს. მინდა გავექცე მონატრებას, რომელიც გონებას მიფორიაქებს. არ მინდა ჩავუღრმავდე იმ ტკივილს, რომელიც თან მდევს და არასდროს არ მტოვებს. ოღონდ ახლა არა, ახლა არა, ჩამძახის ვიღაც და მეც გავრბივარ ამ ფიქრისაგან შორს, ძალიან შორს, მაგრამ როდემდე? ჩემს მეხსიერებაში მამა სამუდამოდ დარჩა კაცურკაცობის ნამდვილ სიმბოლოდ. მისი ბევრი ნაამბობი, მონაყოლი მახსოვს. მამაზე საუბარს ამჯერად თავს ავარიდებ, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ სპეციალობით ფილოლოგს, სრულიად ახალგაზრდას ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში დირექტორად დაუწყია მუშაობა. მაშინ იმ სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე ამბროსი შევარდნაძე. მამას მისი ბევრი დარიგება ახსოვდა, მუდამ დიდი პატივისცემითა და მორიდებით იგონებდა.

ბატონი ამბროსი, თურმე მთელ სოფელს ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით კი პედაგოგებსა და მოსწავლეებს. ეს არც უნდა ყოფილიყო გასაკვირი, რადგან მისი სითბო და სიკეთე უშურველად იღვრებოდა ახლობლებში, ნათესავ-მეზობლობაში.

საოცარი სანახავი ყოფილა, როდესაც სამშობლოზე საუბრობდა, გულანთებული და მომღიმარი, მისი ოცნება თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს ხილვა ყოფილა და თავის აზრს არასოდეს მალავდა. მხოლოდ მასწავლებელი არ ყოფილა, დიდი საზოგადო მოღვაწის ყველა თვისება ჰქონდაო.

წლებმა, გამოცდილებამ ავტორიტეტი და სახელი მოუპოვა, სიბერეც ნელი ნაბიჯებით მოაბიჯებდა, მაგრამ მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის გაბმული ძაფები არასოდეს გამწყდარა. მისი ცოდნა და ენერგია ბევრ ახალგაზრდას შეშურდებოდა. მათი ურთიერთობა უნაკლო და მშვენიერი იყო... რომ არა ერთი შემთხვევა, ბატონი ამბროსი იქნებ კიდევ დიდხანს დარჩენილიყო სკოლაში.

...იმ დღესაც სკოლაში ჩვეულებრივად მხნედ მივიდა, მოსწავლეებს მამა-შვილურად მიესალმა და სასკოლო ჟურნალი გადაშალა სიის ამოსაკითხად, როგორც ჩვეოდა, ხელი კოსტიუმის ჯიბეში ჩაიყო სათვალის ამოსაღებად, მაგრამ სიცარიელე იგრძნო. მასწავლებელმა ჟურნალი დახურა, წამოდგა და მძიმედ გავიდა კლასიდან.

წავიდა და წავიდა... ვინ არ მივიდა, დირექტორი თუ მასწავლებელი, მოსწავლე თუ მშობელი, თხოვდნენ, ემუდარებოდნენ სკოლაში დაბრუნებას, მაგრამ ყველას ერთსა და იმავეს უპასუხებდა: ბიძიებო, გულმავიწყობა სიბერემ იცის. რახან მე სათვალე სახლში დამრჩა, ჩემი მასწავლებლობა აწი შეუძლებელიაო!

ეს ხომ საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გასაოცარი ნიმუშია.

ასეთი იყო ჩვენი პრეზიდენტის მამა.

ლალი ძინძლაძე.

მსოფლიო შტრიხებში



მხატვრულ სამყაროში სენსაციაა: ნაპოვნია უკანასკნელი სააღდგომო კვერცხი, რომელსაც კარლ ფაბერჟე რუსეთის მეფის ოჯახისთვის ამზადებდა. იგი 1925 წლიდან იდო ფერსმანის სახელობის მინერალოგიის ინსტიტუტში, ნაწილებად დაშლილი ეწყო და ყურადღებას არავინ აქცევდა.

**სურათებზე:** ახლადნაპოვნი დაუმთავრებელი ნამუშევარი (ზემოთ); კარლ ფაბერჟე.



გამოცა

# საშვილიშვილო ღვაწლად დარჩება

ჩემთვის, როგორც უნივერსიტეტელისათვის გიორგი (იურა) ჯაფარიძის სახელი ყოველთვის ამ დიდ ცოდნის ტაძართან ერთად მოიაზრება. ჩემი თანაკურსელები იხსენებდნენ მის ყოველ წუთს. მათს მონათხრობს ვჯერდებოდი. მის ჯგუფში მოვხვედრილიყავი, მისი ლექციები მომესმინა და ამასთან ფოლკლორულ ექსპედიციებში გავყოლოდი ხოლმე, თუმცა ძალიან ვწუხვარ...

განუმეორებელი იუმორით, ქართული ხალხური სიტყვიერების ღრმა სიყვარულით ხიბლავდა ყველას. თავისი არსებობით იყო გამორჩეული პიროვნება. იყო თავის საქმის უჩუმრად და დაუღალავად მკეთებელი. სიყვარულითა და სიკეთით სავსე ადამიანი, სტუდენტების უსაყვარლესი ლექტორი, ნიჭიერი ფოლკორისტი და მკვლევარი.

არ შემიძლია არ ვთქვა ისიც, რომ ბევრი ჩემი თანაკურსელი შეყვარებული იყო ბატონ იურაზე და დამთავრებისთანავე ჩვენი კურსის ყველაზე გამორჩეული და მშვენიერი გოგონა, მწერალი და ჩინებული ბელეტრისტი მანანა ავალიშვილი ცოლად წაიყვანა.

იურა ჯაფარიძე ნამდვილი მთის შვილი იყო, ხევსურეთზე, მის ჭიუხებსა და არაგვზე, ადათწესებსა და ხატ-სალოცავებზე უსაზღვროდ შეყვარებული.

გთავაზობთ თინა ჩხაიძის მოგონებას: „ფიქსირებული მოგონება მარადიულობის ნაწყვეტია. ვერც კი ვიფიქრებდი, მოგონების დაწერა დამჭირდებოდა გიორგი ჯაფარიძეზე...

იმ შორეულ 1964 წელს, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელ სტუდენტებს ბედმა გაგვიღიმა, რადგან ტაძრად წოდებულ სასწავლებელში ახალგაზრდული არიფანა დაგვხვდა: ნოდარ ჩხეიძე, ზაალ ქვანია, გიორგი ჯაფარიძე, ელიზბარ ჯაველიძე, თეიმურაზ მაღლაფერიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რევაზ სირაძე, გრიგერ ფარულავა,




ზურა ახვლედიანი... ერთი სიტყვით, მთელი საძმო... ბედმა ასე ინება, მათგან გასინათლებულიყო ჩვენი გონება... ეს უნიჭიერესი, წიგნიერი კაცი, ხარისხების არმაძიებლური ბუნებით, რაღაცნაირ ღირსებას მატებდა ფილოლოგიურ მეცნიერებას და თუ ჩვენს, ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებას გადარჩენა უწერია, იურა ჯაფარიძის საშვილიშვილო ღვაწლად დარჩება უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივის შექმნა.

ჯაფარიძეთა ოჯახში ყველა ლიტერატორია: ბატონი იურას მამა ლიტერატორი, ლიტერატორია მისი მეუღლე მანანა, შვილები: თამუნა, ჯურხა, დისშვილები: ირმა და ზაზა.

გამომცემლობა „საარმა" დასტამბა იურა (გიორგი) ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული „დარდისას გეტყვი", რომელშიც ქართული მწერლობისა და ფოლკლორის, ამ თვალსაჩინო მკვლევარის წერილები, ნარკვევები, რეცენზიები შევიდა, წლების განმავლობაში რომ ქვეყნდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. წიგნში კი პირველად მოიყარა თავი. აქვეა მეცნიერის მიერ ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშების მცირე ნაწილი, საყურადღებო შენიშვნებითა და განმარტებებით. ტექსტებს ახლავს მთქმელთა ვინაობის პასპორტი მათი მდგომარეობის და ჩამწერის შესახებ და აღნიშნულია ჩაწერის თარიღი. წიგნის მესამე განყოფილებაში დაბეჭდილია: რევაზ სირაძის, გრიგერ ფარულავას, ზურაბ კიკნაძის, თეიმურაზ მაღლაფერიძის, ალექსი ჭინჭარაულის, ვახუშტი კოტეტიშვილის, ოთარ ონიანის, თინა ჩხაიძის, ირაკლი ვაშაყმაძის, მიხა არაბულის, ავთანდილ არაბულის, ბაბუა ალუდაურის, ამირან არაბულის, ტრისტან მახაურის, მიხეილ ლანიშაშვილის და სხვათა შესანიშნავი მოგონებანი თვალსაჩინო ფოტოსურათებით, სადაც წარმოჩენილია იურა ჯაფარიძის ღვაწლი ქართული ფოლკლორისტიკის კვლევისა და მომავალი თაობების აღზრდის საქმეში.

წიგნის გამოცემის მოთავენი, მადლიერებას გამოხატავენ გამომცემლის – ლევან თითმერიას უანგარო თანადგომისათვის.

იზა ჯაჭვაძე.

კრიმინალი

# ნარკოტიკების გამსაღებლები პოლიციამ დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ თბილისში, დიდუბის ავტოვაგზლის ტერიტორიაზე ნარკორეალიზატორი ოპიუმს ასაღებდა.

განხორციელებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, პოლიციამ დანაშაულის ფაქტზე დააკავა მარტვილის რაიონის სოფელ ლეხაინდრაოში მცხოვრები, 51 წლის ჯემალ გვასალია.

სამართალდამცველებმა მას გასაყიდად გამზადებული განსაკუთრებით დიდი ოდენობის –13 ჩეკად დაფასოებული 55,1 გრამი ოპიუმი ჩამოართვეს.

საქინფორმი.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, 3-4 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

თანადგომა

# საქველმოქმედო სპექტაკლი უნივერსიტეტში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის დარბაზში გაიმართა მურმან ჯინორიას სპექტაკლი „და სიმღერით ვკვდები..."

მაყურებლის დიდი ნაწილისათვის ეს დადგმა ცნობილია, მისი პრემიერა ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში შედგა. სცენარი, რეჟისურა, მუსიკალური გაფორმება თვით მურმან ჯინორიას ეკუთვნის. ცნობილი ქართველი პოეტებისა და ხალხური ლექსების მოტივზე შექმნილი სპექტაკლის მთავარი მოქმედი პირი ქართული პოეზიის მეფე გალაკტიონ ტაბიძეა.

სპექტაკლს ასობით სტუდენტი ესწრებოდა. დასასრულს ყველა ფეხზე წამოუდგა საყვარელ მსახიობს და მქუხარე ტაშით გამოხატეს ბატონი მურმანისადმი პატივისცემა. აღელვებულმა მსახიობმა კიდევ ერთი ლექსით დაასრულა საღამო: „და მაინც, და მაინც, და მაინც ბრუნავს!"

საქინფორმი.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 8 მაისს.

შვილები ალექსანდრე, რევაზი, შვილიშვილი გივი კორინთელები, რძალი ლალი ბეიტრიშვილი, ძმისწულები მიხეილი, ბექანი, რძლები ელენე, მაია, ოლია, ძმისშვილისშვილები ვახტანგი, ალექსანდრე წინამძღვრიშვილები, მძახალი ნაზი, გია ბეიტრიშვილები, დეიდაშვილები თამარ აბულაძე, ნანა ჯმუხაძე, ბიძაშვილი ილია კაპანაძე, მამიდაშვილი თეიმურაზ მელიქიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარიამ მიხეილის ასული წინამძღვრიშვილი

პანაშვიდი 5, 6 V, 5 სთ. გამოსვენება 7 V 3 სთ. დავით აღმაშენებლის გამზირი 83, II სადარბაზო, II სართული.

მიხეილ წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი

მარიამ მიხეილის ასული
წინამძღვრიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ძმა ასიკო, რძალი ზაირა, ძმისწული გიორგი, რძალი მარინე, შვილიშვილები ალინა, ანა, დავით გამსახურდიები, ბიძაშვილები ლეილა, ლამარა გამსახურდიები, დავით, ალექსანდრე მაისურაძეები ოჯახებით, გურამ, მამუკა, გიორგი არეშიძეები, ანდრო ალექსიძე, მამიდაშვილები რენიკო, გია, თემურ ძოწენიძეები ოჯახებით, ციცო და ეველინა ღრუბელაძეები, ლიმა მიშველიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი ალექსანდრეს ძე გამსახურდია

პანაშვიდი 5, 6 V, 4 სთ. გამოსვენება 7 V, 3 სთ. წულუკიძის მე-2 შესახ. 12, II კორპ. II სად.

და ლია გამსახურდია-გელოვანი, დისშვილები დავით, კონსტანტინე გელოვანები, რძლები ირინა, ხათუნა, შვილიშვილები ლიანა, ნათია, თამარ, მარიამ, ანა, სოფო, ბესიკ გელოვანები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი ალექსანდრეს ძე გამსახურდია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანატი, ფინანსების და კრედიტის კათედრა ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ კათედრის დოცენტის თამარ გამსახურდიას მამის

გიორგი ალექსანდრეს ძე გამსახურდიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მსხ აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის უფროსი მასწავლებელი

ნიკოლოზ მამარაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ტელევიზია

კვირა, 5 მაისი

08.00 "მოამბე" 08.20 მულტსერიალი "პრინცესა პოკაჰონტასი" 08.45 დოკ.ფილმი "ქართული ზარი" 09.05 ფრანგული პროგრამა "გემრიელად მიირთვით, ბავშვებო" 09.20 მხიარული კარუსელი 10.00 დილის პაემანი 11.00 დოკ.ფილმი "რწმენის აღორძინება" 12.00 მსოფლიოს ახალი ამბები 12.15 სპა 12.40 თბილისი და თბილისელები 13.10 მეტრო 13.40 გლობუსი 14.10 საკვირაო გამოფენა 14.25 არათბილისური ამბები 14.50 მხ. ფილმი "ლუკას სახარება" 16.00 ამბები ჩვენზე 16.25 მათეს სახარება 18.15 ბავშვთა უფლებების კონვენცია 18.35 ჩვენი მშვიდობა 19.00 საფეხბურთო პროგრამა "ქილეტი" წარმოგიდგენთ 19.25 ჩვენი მისამართია 20.00, 00.20 მოამბე 20.25 საქართველო არის ესე 20.55 ფორტუნა 21.35 შენამდე მოვედი (თემურ თათარაშვილი) 22.55 ჩვენი ენა ქართული 23.00 სატელევიზიო კინოდარბაზი – "პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმში" 00.35 მხ.ფ. "საბუდარელი ჭაბუკი"

19.00 საბ.ფილმი "ატლანტიდა – დაკარგული ქვეყანა" 20.30 ვიცი 21.00 საქართველოს მატიანე 21.35 ამბიონი 22.00 შვიდეული 23.00 მხ.ფილმი "ათი მცნება"

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.15 მულტსერიალი 10.45 "ოქროს ვარდის გამოქვაბული" 11.15 მუსიკა 11.25 სერიალი "ნიკიტა" 12.25 მხ.ფილმი 14.20 სიმფსონები 14.50 სერიალი "კუსტოს წყალქვეშა ოდისეა" 15.40 მხ.ფილმი 18.00, 21.00, 23.40 კურიერი 18.20 ქართული ფილმი 20.00 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 21.20 ჩვენი ეზო 21.40 "ჯეოსელის კინოკლუბი". "ტკბილი ნოემბერი", "როგორ გავხდე პრინცესა", "ღირსების ადამიანი" 23.50 მხ.ფ. "იაოვე ფურსბერი". მთ. როლებში: შონ კონერი 01.30 კლასიკა

მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსი, მულტფილმი 08.15, 20.15 ასხავალი 08.20, 09.55, 11.55, 20.20, 22.00, 23.55 მუსიკა 08.25 მხ.ფ. "სამი ძალი და მამაკაცი" 10.05 მხ.ფ. "ჯლუბი" 20.25 მხ.ფ. "ვალის გადახდა ტეხასურად" 22.05 მხ.ფ. "ტკბილი ნოემბერი"

12.00 ინდ. მხ.ფილმი 14.30 მხ.ფ. "დიდი ფსონი" 16.15 მხ.ფ. "ჩიხში" 17.50 დოკ.ფილმი "ნაციზმი, ისტორიის შენარჩუნება" 20.20 "ჯაზ – პარნასი" 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 21.00 მხ.ფ. "კლერკები" 22.30 მხ.ფ. "ბრალდებულნი" 00.20 მხ.ფ. "კერძო გაკვეთილები"

ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები 11.05 მუსიკალური კოლაჟი 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.25 თბილისური ოჯახები 14.10 მუსიკა 15.00 ვესტი 15.30 დოკ. ფილმი "თანამედროვე ევროპა" 16.00 საოცარი პირამიდა 17.00 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ქადაგება 17.20 საეკლესიო კალენდარი 17.35 საუბრები ბიბლიაზე 19.00 თქვენი აზრით 19.20 ჩვენი თაობა 20.00 თავისუფალი მიკროფონი 20.15, 20.45 მოგზაურობა ბავშვობაში 20.30 იქ, სადაც სიყვარულია 21.00 მხ. ფილმი "იესო" 23.00 "იდენ ტვ" 23.30 საალდგომო კონცერტი

07.30 "მორნმუნის ძლევამოსილი ხმა" 09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტროლა" 12.00 მხ. ფილმი 14.00 "Co.მედია" მხ.ფ. "კასპერი მოჩვენებათა შოუა" 19.00 ლოტომაესტრო 19.30 მუსიკა 20.00 ვიდეო-რადიო 22.00 მიქს-20 00 00 "ბრავო" მხ.ფ. "ასტეკების მზე". მთ. როლში მორიც ბლაიბტროი 01.55 ღამურა "ტოტალური დაცვა". მთ. როლში დოლფ ლუნდგრენი 03.15 ნონ-სტოპი

09.00 დილის ამბები 09.20 მულტფილმი "სააღდგომო ზღაპარი" 10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა" 11.20 ჭკუის კოლოფი 11.55 ევროპის სტადიონებზე 12.30 საუბრები სტუდიაში 13.35 მხ.ფ. "25 წელი". მთ. როლში ალ პაჩინო. 16.20 მხ.ფ. "ბურჯაინის თავგადასავალი". 18.35 დისქავერი. 19.00 მაცაცურა 19.10, 20.50, 22.00, 00.00 მუსიკა 19.30 მსოფლიო ფეხბურთი 20.00 ინტელექტუალური "რა? სად? როდის?" 21.10 მხ.სერიალი "მ. მ. მ. ველური ირონის დაცვის სამსახური" 22.15 მხ.ფ. "მუშაკები". მთ. როლში კეტრინ დენევი. 00.20 მხ.ფ. "ახალი პარადიზო". მთ. როლში ფილიპ ნუარე.

ღიმილის დოზა



ძველებური ციხე-კოშკის პატრონს ახლობელი ეწვია. საღამოთი მსახურმა მოსასვენებელი ოთახი აჩვენა.

— მითხარით, — შეეკითხა სტუმარი, — რაიმე არაჩვეულებრივი ხომ არ მომხდარა ამ ოთახში?

— როგორ არა: ათი წლის წინათ სტუმარი, რომელმაც აქ ღამე გაათია, დილით ცოცხალი ნახეს.

***

მთვრალი ქმარი შინ დაბრუნდა. სიბნელეში გზა ვერ გაიგნო და უყვირა ცოლს:

— ქალო, გინება დაიწყე, თორემ დავიკარგე.

***

მთვრალი ცნობათა ბიუროს მიადგა:

— მითხარით, გეთაყვა, სად ცხოვრობს პავლე ჩხატიური?

— ახლავე... თქვენ რა გვარი ბრძანდებით?

— პავლე ჩხატიური.

***

საავადმყოფოს პალატაში ავადმყოფმა გაიღვიძა. მიმოიხედა. გვერდზე საწოლზე კაცი წევს. ეცნო.

— უკაცრავად, ჩვენ ხომ არ შევხვედრივართ ერთმანეთს?

— რომ შეგხვდით, იმიტომ ვწევართ აქ.

***

— რაც გინდა თქვი, მაგრამ იაპონელები ყველას უსწრებენ გამოგონებაში. ამბობენ, ისეთი ტელეფონი გაუკეთებიათ, რომ სუნსაც კი გადასცემს.

— იაპონელების რა მოგახსენო, მაგრამ ჩემს ცოლს გუშინ რომ დავურეკე, მიპასუხა — ასე ღორივით სად გამოთვერიო.

***

შოტლანდიელი, რომელიც ლონდონიდან მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა თავისიანებს უყვება:

— საოცარი ხალხია ლონდონელები. ერთი კაცი ღამის სამ საათზე შემომივარდა სასტუმროს ოთახში და გინება დამიწყო.

— შენ რით უპასუხე?

— არც არაფრით, — ჩემს სტვირზე საყვარელი მელოდიის დაკვრა გავაგრძელე.

***

— მითხარით, ოდესელი ხართ?

— რამე დაგეკარგათ?

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოიცემა უწყვეტლივ შპს „არსა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, გიორგი გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, გიორგი მაისურაძე, რუსუდან რუსია, სპარტაკ ქეზუალი, ბეჟან ჭედია, ომარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსუდან ლორთქიფანიძე

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „კოლხიდის" სტამბაში.